[illegible]

[illegible] ([illegible])

[illegible]

„[illegible]" (1915)

„[illegible]" (1916-1917)

„[illegible]" (1917)

I. [illegible] (ভাদ্র [illegible] 1915 খৃঃ)

II. [illegible] (বৈশাখ 1916 খৃঃ ২, ৩, ২৬.)

[illegible] ৪ (বৈশাখ) ১০

[illegible] ৪, 5, 6, 8, 9, 10

বৈশাখ ১/২

[illegible]

1. [illegible] 1917 N 3 [illegible] N 1.

2. [illegible] (N 14)

3. [illegible] (N 14)

4. [illegible] (N 11)

5. [illegible] (N 13)

6. [illegible] 1916 N 3 [illegible] 1917 N 3 [illegible]

7. [illegible] 1916 N 5

8. [illegible] 1917 N 2 [illegible] 14

9. [illegible] 1917 N 3

10. [illegible] 1917 N 3 [illegible] 12

წელიწადი პირველი. № 1. ფასი 20 კაპ.

ცხოვრება

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

15 ნოემბერი 1915 წ.

შინაარსი:

1. ბიკენტი (ჰოლა) ბიბონისძე ლომთათიძე.
2. ჩვენი დროის სურათები, გაგრძელება, გოგია ვინმესი.
3. მგზავრის შენიშვნები, გაგძელება, ხომ ლელისა.
4. მაღაროს მუშის სიმღერა, ლექსი, ობოლი მუშისა.
5. ალექსი, მოთხრობა, ობოლი მუშისა.
6. შურის ძიების სხვერპლნი, გაგძელება, გ. ებრალიძისა.
7. გძნობის ტალღა, ლექსი, ს. ტაიფუნისა.
8. მათეს დასაფლავება, აკ. იოს—ნისა.
9. კრიტიკა, ხომლელისა.
10. ჰოლა ლომთათიძის დახასიათება.
11. „კავკაზი“ და აჰარლები.
12. მზის მგოსანი ბალმონტი ქუთაისში, ქუთათური მწიგნობარისა.

ქუთაისი
სტამბა „ძმობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

მიიღება 1915 წ. თუთხმეტ ნოემბრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

„ცხოვრება“-ზე,

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ რომანოზ ფანცხავას (ხომლელის) რედაკტორობით

წლიურათ ჟურნალი ღირება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან. 30 კაპ., სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თითო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ჟურნალ - გაზეთების კანტორა „იმერეთში“ ლ თომა მთავრიშვილთან. თფილისში წ. კ. გ. საზოგ. მდივანთან, ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში კოწია გამყრელიძესთან, ხონში – გიგლა მგბუკესთან, კავკავში თ. იასონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Гор. Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკი ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი– 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“, თფილისის ქუჩა. სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათე პორტრეთები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ პორტრეთები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაკტორი ი. თ. ტინტაძე.

† ბიკენტი (ჭოლა) ბიბონისძე ლომთათიძე.

გაზეთი „თანამედროე აზრი“ ექვსი ნოემბრის ნუმერში ფრიად სამწუხარო ამბავს გვაუწყებდა. ნოემბრის 4 რიცხვს, სარატოვის ღარიბთა თავშესაფარის პატარა ოთახში გარდაიცვალა მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი და ახალ გაზდა ქართველი მწერალი, ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძე.

რუსეთის მშრომელი ხალხის გამათავისუფლებელ მოძრაობას მეორე სახ. დუმის ძალიან მალე დახურვა მოყვა სწორეთ ისე, როგორც პირველი დუმის დათხოვნა. ამ დიდ შეხლა-შამოხლის მწარე წუთებში ცხოვრების დუღილის შიგ შვა გულში ჩავარდნილ დეპუტატების რიცხვში, რასაკვირველია, ჭოლაც მოყვა და იგიც კატორღაში გაისტუმრეს...

მას შემდეგ, შორს, ცივ ქვეყანაში ასე გადაკარგულს ადამიანს აღარ უხილავს თვისი ტკბილი, შვენიერი საქართველოს არე-მარე, აღარ დამტკბარა იმისი ცხოველი მზის ცქერით, არ ჩაუსუნთქავს იმი ი ნაზი, გამკურნებელი ჰაერი. საშინელი სენით შეპყრობილი, მშრომელი ხალხის უწმიდესი იდეალების ცოცხალი მატარებელი და იმისი მუდამ მხურვალე თავდადებული მოსიყვარულე, ახალ გაზდა პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც, მართალია, ერთი სიტყვაც არ უთქვამს პოლიტიკური ტრიბუნიდან, მარა სამაგიეროთ, გაცხარებული იმისი ბაასი და გამოსარჩლება მშრომელთა ინტერესებისთვის სახ. დუმის კულუარებში მუდამ ყველას ყურათლებას იქცევდა და იპყრობდა.

ჭოლა მოელი თვისი არსებით ცდილობდა უკანასკნელათ ეხილა თვისი ძვირფასი მშობელი ქვეყანა, იქ გაეტარებია უკანასკნელი წუთები თვისი ტანჯული, გაწამებული ცხოვრებისა, გამოთხოვებოდა საყვარელ ამხანაგთა და მეგობრებს... მარა ეს მას არ მოესწრო, არ აღირსეს და სიმწრით გატარებული, სამშობლო მხარეს ძალათ მოგლეჯილი, გატანჯული ახალგაზდა მოღვაწე მოკვდა შორს, ძალიან შორს, სადღაც უპატრონოთ... გადაკარგული...

ჭოლა იყო შვენიერი გურიის გაუტეხელი გლეხის შვილი, ამაყი, თავმოწონე, რკინასავით მაგარი ხასიათის, რომელმაც ქედის მოხრა არ იცის და მშრომელი ხალხის ინტერესებს ანაცვალა თვისი პირადი ინტერესები. იგი იდგა დიდი უსამართლობის და მტარვალობის წინააღმდეგ შეიარაღებულ მეომარივით და თვისი დიდი, სპეტაკი ვალდებულებათა სამსახურს ძველ მოწამესავით შესწირა თავი...

ის ადამიანი, რომელიც ასეთი წმიდაა, უმწიკვლო ცხოვრების მატარებელია, არადროს ხალხის ხსოვნაში არ მოკვდება და ჭოლა ლომთათიძის სულის და ხასიათის სიწმიდე და განუყოფელობა მუდამ სამარადისოთ თვალწინ გვექნება წარმოდგენილი ჩვენ, უბრალო მომაკვდავებს...

აი, ეს უკანასკნელი ჩვენი მუდმივი, საუკუნო მისი სახელის მახსოვრობა და უკვდავება წაიღოს, თან ჩაიტანოს ამ შვენიერმა ქართველმა მოღვაწემ და მწერალმა ცივს, ნოტიო, დაბნელებულს სამარეში, რომელიც ასე უდროოთ, ასე ტრაგიკულათ გაუთხარა მას ჩვენი გამწარებული ცხოვრების სინამდვილემ.

ჭოლა იყო ბასილეთის (გურია) საზოგადოების, სოფელ მეწიეთში მცხოვრებ გლეხის, ბიბონ ლომთათიძის პირმშო შვილი. ჭოლას ნათლობის სახელი იყო ბიკენტი. ჭოლას დე-

და იყო ბახველი ღარიბი აზნაურის, ნიკოლაი-შვილის ქალი. 7 წლის ჭოლა ბასილეთის ორ-კლასიან სკოლაში მიაბარეს. ამ დროს ბასილეთის სკოლის უფროსი მასწავლებელი იყო არსენ წითლიძე, რომელიც მოწაფეებს ქართველი მწერლების თხზულებებს აკითხებდა. ამიტომ წიგნების კითხვა ჭოლას სკოლაშივე შეუყვარდა. სოფლის სკოლა პირველ მოწაფეთ დაასრულა. სწავლის გაგძელება წყუროდა, მარა მამამ, სიღარიბის გამო, ვერ შეძლო, ჭოლა სხვა სასწავლებელში მიეცა. თვით ჭოლამ სცადა შესულიყო გორის საოსტატო სემინარიაში, მარა ეს არ მოხერხდა. საკუთარი მცადინობით და სხვების მცირე დახმარებით ის შევიდა ქუთაისის სამეურნო სკოლაში. მეგობართა დახმარებით, ის გაემართა ბესარაბიაში და შევიდა სამეურნო სასწავლებელში. მარა დათხოვნილ იქნა, როგორც თავისუფალი მოაზრე.

აქიდან იწყება ჭოლას ხეტიალი. ის გულს არ იტეხს, მას წყურია სწავლა, ის მიდის უგროშ-კაპეიკოთ რუსეთს. ამ დროს ჭოლამ დაწერა პირველი მოთხრობა, რომელიც დაიბეჭდა „მოამბეში". 1903 წლამდი ის უფრო ანარქიული მიდრეკილების არის. ამ წელს-კი ეცნობა ბათომში მომუშავეთა ჯგუფს, რომლის გავლენას და დისციპლინას ის ემორჩილება. აი, ამ წლიდან იწყება მისი პარტიული მუშაობა, ამ დღიდან ის ხდება ს.-დ. პარტიის მოღვაწე.

პირველი სათათბიროს დათხოვნის შემდეგ, მოიწვიეს მეორე. ამ მეორე სათათბიროს დეპუტატათ ჭოლა აირჩიეს.

ჭოლა ციხემდინაც და ციხეშიაც წერდა მოთხრობებს. ციხეში წერას კიდევ მოუმატა. ავათმყოფი, სიცხეში მბორგავი ჭლექის ოფლით დასუსტებული, ის გამუდმებით წერდა. ბევრი მისი ნაწერი სხვადასხვა გაზეთებში უკვე დაიბეჭდა. მარა კიდევ ბევრი დაუბეჭდავი დარჩა, ზოგი დაიკარგა. 1903—4 წლებში ის მონაწილეობას იღებდა „კვალის" რედაქციაში, წერდა სპირიდონ მცირიშვილისა, ჭ. ოლიას და ჭ. გერის ფსევდონიმით.

ქ. სარატოვიდან მიცვალებულის ცხედარი თფილისის სადგურზე მოასვენეს 14 ნოემბერს ნაშვადღევის 5 საათზე და ქაშვეთის ეკლესიაში შეასვენეს დიდის ამბით.

კვირას, 15 ნოემბერს თფილისის არემარეზე შვენიერი დღე გათენდა. ქაშვეთის ტაძრის გალავანს აუარება ხალხი მოადგა... წირვის გათავების და წესის აგების შემდეგ, დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ დიდათ გძნობიარე და შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა. ტაძრის წინ მოკლე, მარა ძლიერი სიტყვა წარმოთქვა მესამე სახ. დუმის ნადეპუტატარმა, ევგენი გეგეჭკორმა. მან საქვეყნოთ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რო ხალხის წარმომადგენელი, უფლებით მოსილი დეპუტატი ერბაშათ კატორღელათ იქცა და სადღაც უბედურთა ბ ღარიბთა თავშესაფარში დალია გამწარებული სულიო...

ევგ. გეგეჭკორის სიტყვის შემდეგ, მუშებმა ხელით წაასვენეს ძვირფასი კუბო წმ. ნინოს სასაფლაოზე, სადაც დაკრძალულ იქნა. აქაც სხვადასხვა დაწესებულებათა და პროვინციელ თანამოაზრეთ წარმომადგენლებმა სიტყვები უთხრეს. მიცვალებულის კუბო ასზე მეტი გვირგვინით იყო შემკული.

ცხოვრება № 1.

15 ნოემბერი. 1915 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

ჩვენი დროის სურათები. *)

(გაგძელება)

46

თფილისიდანა შავი ზღვამდინა,
სადაც რო ტალღა ირხევა ნელი,
ბევრია ბაღი—ოცნების ბინა,
ბევრია ნაშთი—სამარე ძველი.
სანამ მიქროლავს მანქანა ცუდი,
ჩვენი შიმოსვლის მატარებელი,
ბევრი შეგხვდება ფარაჯა ძველი
და კინკრიხოზე ნაბდისა ქუდი,
ბევრიცა... (მარა—უყურეთ კალამს:
აქ ტკბილსა ჩქროლას იგი ვერ მალავს).

47

ქართველი ქალი—შვენება მწველი,
შვენება მთვარის, შვენება მზისა...
მაზე მღეროდა შოთა რუსთველი,
ეშხით შემკვრელი მიწის და ცისა,
მაზე მღეროდა, ვინ იცის—ვინა,
ყოველი ენა, ყოველი ჰანგი,
ღელავდა გული, ეღეროდა ჩანგი,
თეირანიდან სტამბოლამდინა;
იგი ოცნებას თხზავდა და მაში
თვითონ გაქონდა რხევა—თამაში...

48

ისე ნარნარი არ არის ია,
ისე ლამაზი არ არი ვარდი,
აზრი მას მიაქვს, გული მისია,
გაქრება უცებ იქიდან დარდი.
ჩაბეჭდილება ძვირფასი ტანის
გულში ტივტივებს, ვით ტბაში გედი,
ანუ ღულუნებს, ვით ნაზი ტრედი,
მიუხედავათ სივრცის და ხანის,
ყურს უგდებ მას და უნებლივ გჯერა
საბედნიერო ვნებისა ეღერა.

იგი შრომასაც არა თაკილობს,
შრომას უბრალოს, მდაბიო ჯგუფთა;
და რჩება მაინც, თუმც არა ცდილობს,
გული ნაზი და ფაჩხილები—სუფთა.
უყვარს მას ნდობა, მეგობრის ხელი,
ბწყენა ტფობის და სიმამაცისა,
და მის ღიმილით, ნათლითა ცისა,
ივსება ხოლმე დარბაზი ვრცელი;
ლხენა ქუდს იხდის იმისწინ რიდით
და სიყვარული—კრძალვითა დიდით.

49

მარა, თუ დევნის უწყალო ბედი,
თუ ეკიდება ტანჯვის ალები,
ფთა მოტეხილი ტყვითა ტრედი,
არ არის ისე შესაბრალები.
მაშინ იცვლება მის სახე, გული,
მაშინ სულ სხვაა, საუბედუროთ:
უხმოთ, უსიტყვოთ, უსაყვედუროთ,
მაშინ ცრემლი დის, ვით ნაკადული,
და მარმარილოს ნიკაპის ქვევით,
ისკვნება იგი ცვარ-და-ცვარ რხევით.

50

მისი თვალები—ეშხის ტბა არი,
მისი წამწამი—გიშრის ღობეა,
და ტირის იგი, ჩუმი დამწვარი,
ქვათ გარდაქმნილი, ვით ნიობეა.
ნუგეშის სიტყვა, ან სამძიმარის,
პირში გიკვდება, ვერც გაუბედავ,
შენწინ ქალს არა-ხვთაებას ხედავ,
და განაჩენსა, უცხო იმ არის,
რომლისა ძალა და ნება ბნელი,
უცილოა და გარდაუვლელი.

51

და მიდის იგი... შავით მოსილი,
ხორც-შესხმული რამ შვენიერება,
ლამაზ შუბლს უმკობს სევდისა ჩრდილი
და დიდროან თვალებს—ლმობიერება.
მიდის ის ნელა, შვენება რამე,
სათნოებითა გარე მოცული...

*) იხ. „განთიადი", № 17.

იდუმალია ეს სიარული,
ვით ვარსკვლოვანი და ჩუმი ღამე,
სადაც შეყრილან ზნე და კანონი,
საციერო და საქვეყანონი.

52

ის დედა იყო, დედა გმირების,
დედა... ტურფაა ბორჯომის ხევი,
მიდამო მთისა განაპირების,
ტყითა და ბარდით ჩამონახვევი.
იქ მოქუხს მტკვარი, კლდიან ნაპირებს
მოუდუდუნებს არაკებს ძველსა;
ტოტები შლიან ტალღებზე ხელსა,
და მოელიან უკანვე გმირებს,
გმირებს, რომლებმაც ამ ტურფა არეს
ერთ დროს რაშებით ამოუარეს.

53

წინ მიუძღოდათ პატარა კახი,
და გამარჯვების იმედი ტკბილი;
ხმები ამაყათ შემონაძახი,
ქუხდა ამ ხევში უკუ-ტეხილი;
კისრისა ხრითა, ფაფრისა ბნევით,
მიფრუტუნებდა რაშთანა რაში,
ცასა გაქონდა მაღლა კაშკაში,
ლაგამ-აბჯარსა გაქონდა ქვევით,
ბწყინავდა სახეც, ვით იარაღი,
და მიდიოდა მხედრობა ლაღი.

54

ასპინძის ველო! გავიდა ხანი,
ბორჯომის ველი დადუმებულა,
და ბევრი, ბევრი იმ გმირთაგანი,
ჯერ უკან არც-კი დაბრუნებულა;
დიდხანსა ქმარსა ელოდა ცოლი,
და დედა—შვილსა, იქ დაკარგულსა;
მარა ატკბობდა სიამით გულსა
შორს მობუყვიალე დიდების ზოლი,
რო სიყვარულით კვლავ დაელოცა,
ის მხედრობა და საქართველოცა.

55

ასპინძის ველო! რა ვუყოთ, რომა,
იბძოდა მხოლოთ პატარა ერი?!
მას აქვს თვის ფასი, თუ არი ზომა,
ამ ქვეყანაზე სინდისიერი.
გმირული სული... ეგი ტრიალებს,
რათ უნდა იმას ტაში, თუ ქება?!
ბორჯომის ხევის გამოშუქება,
მაინც იტაცებს მგზავრისა თვალებს,
და ხმაურობა, და ჟღარა-ჟღური,
საუკუნეთ რო დაუტკბო ყური...

56

შეძვრა გვირაბში, ვით ხვრელში—მელა,
თან შეათრია კვამლისა კუდი,
და იმერეთში დაეშვა ნელა,
ჩვენი მიმოსვლის მანქანა ცუდი.
უცებ ბუნება გამოიცვალა,
გამოიცვალა სახე და ფერი,
მთა მთას შეცინის, მოქუხს ჩანჩქერი,
და ქვეშ ყანებით ბიბინებს ჭალა;
ცისა კამარა შუქის ამარა,
ეხვეეა, კოცნის მიწასა, მარა

57

მიწა ისეა გამოწყობილი,
ტყითა, ბალახით, ია და ვარდით,
ზოგან ხავერდით გულ-შემკობილი,
ზოგან დახვეული კლდეებზე ბარდით,
ზოგან—უკანვე იმ შუქის მტვრევევით,
რაც ჩამოფენილ არი ციდანა,
რო დამტკბარია თითქო ქვეყანა,
მხოლოთ იმითი, რაც ხდება ქვევით,
და ცის ალერსი სულ არ სჭირია,
ისე ტურფა და ისე ძვირია.

58

ოჰ, ტურფა მხარეე! სადაც მწიფდება,
და ფენს ნელ სუნსა ნაზი ლიმონი,
სადაც კლდეებიც ბაღჩა რამ ხდება,
პეპელა- ფუტკრის სანადიმონი;
სადაც ხიდანა ხეებზე ადის
ვაზი, როგორც რამ ოცნების კიბე,—
მითხარ, რას ნიშნავს ეს სიღარიბე,
ჩამორჩენისა ნიშანი ცხადის?!
ნუთუ ბუნება, ასე მდიდარი,
შენთვის შეიქნა კრული და მკვდარი?!

59

რა სიხარულით, რა ძლიერებით,
რა სიუხვითა ფეთქავს ბუნება,
რა სუნნელოვან შვენიერებით
დამძიმებულ შტოშტოს ეღუნება.
იქ, სადაც არც—კი დაუნძრევია
მცხოყრებსა ხელი—უნდა უყურო,
რა სიყვარულით ბარდი და სურო
ძველსა ნანგრევებს შემოხვევია,
თითქო სწყურია—დიდება ძველი
ყოს დროებისგან ხელუხლებელი.

60

მარა ვერ იხსნის დანგრეულ კედელს
ნაზი მცენარის საამურება,—
ღმერთო, მოკითხე ზურაბ წერეთელს
ჩვენი ცხოვრების განადგურება...
რასა... ეჰ, აბა, ვისა აქვს გული
ამ საამური ბუნების შუა
რაიმე წყევლით მოწამლოს ჭკუა,
გახსნას, გაკაწროს ძველივე წყლული,
ვისა აქვს ღონე, იძახოს მუნ—ვა
და ქარს არ მისცეს სევდა დ ეშუნვა?!

61

მზემ გადიწია და განდაგანა
ისარის სხივებსა დაუდგრომელი.
რა არის ეგა? ბუზია განა?!—
არა,—არწივი მიუწდომელი.
ჰაერის მეფე ცაში ტრიალებს,
მოჩანს ლაჟვარდში იგი, ვით ბუზი.
ეს-კი რაღაა?! ახ...იალბუზი!..
მთებისა მეფე სდუმს და ბჭყვიალებს:
დიდებულათ ის დაცქერის ძირსა
მთებს და გადაშლილ რიონის პირსა.

62

აქ თითმის ყვილგან, ყოველ დაბაში,
იკიან ხოლმე დღეობა რაშე,
და გაზაფხული მწვანე კაბაში,
ბნელს სამოსელში მაისის ღამე,
ელიან იმ დღეს, როცა სტუმრებით
ივსება ხოლმე მაღალი ოდა.
იქ არ იქნება არ დალიო და
ლხენით არ დასტკბე (არ გეხუმრებით),
იქ საამურათ ტრიალებს ყანწი
და გულს გიტაცებს ვიჟი და ანცი.

63

ვრცელია სუფრა, კაცი დ ქალი
მისი გარშემო სიამით სხედან,
ბწყინავს ჭიქა, თუ დანა ჩანგალი,
შემონაზიდი საზღვარ გარედან;
ხუმბობა ისმის ტკბილი და ძმური,
იღვიძებს ნდობაც ძნელ-მოსახვეპი,
აჭა, შემოაქვთ ხონჩითა ბეჭი
და მასთან დანაც მამაპაპური,
„დაჭრა ვინ იცის?“—ყვირის თამადა—
და სტუმრებს უფრო ეხსნებათ მადა...

64

რას არ იტყვის და არ მოიგონებს
მხიარული და ენაწყლიანი?
კამკამებს ღვინო და ვარდის კონებს
შეტრფის მოლხენა ეშხისფოიანი.
სუფრასვე ამკობს შვენიერებით
ტკბილი სიმღერა, ხმა, თუ შაირი,
კვლავ სიმახვილე ნაირ-ნაირი
ბწყინავს აზრით დ ზომიერებით,
და ბროლის ყელებს ჩვეულებრივათ
დაესხმის ხოლმე ლხენისა მძივათ.

65

ჯერ კიდევ სმაა, კიდევ ხუმრობა,
და სადღეგძელო ახალ-ახალი,
ჯერ კიდევლაღობს ლაღი სტუმრობა,
მხიარულია კაცი და ქალი,
ჯერ კიდევ ჩუმათ ეზოში დგანა
კაზმ-მოუხდელი ცხენების ჯოგი,—
მარა, ჰა, უკვე ფრუტუნებს ზოგი
და ცქვეტს ყურებსა... დრო არი განა?
დიახ, დრო არის—უკვე ზედ არი
კოხტა და ვარდი მისი მხედარი.

66

ასე იწყება ყოველ დღეობა...
ახ, ის მე მახსოვს, ის ტკბილი წამი,
როდესაც მქონდა მოცალეობა
და არა მქონდა სევდისა შხამი.
მიყვარდა მაშინ გიჟურათ ცხენი,
მოვახტებოდი და უდარდელათ
მივაქროლებდი ლურჯასა ველათ,
იქ, სადაც ბლომათ მოჯირითენი,
ხტოდენ, დარბოდენ... იქ სდუმს ცაცხვნა-
რი

და ცალ შეყურებს სამრეკლოს ჯვარი.

67

რა ტურფა იყო ახალგაზდობა,
რა მოხთენილათ ეჭირა თავი,
იქ ძმობა იყო, იქ იყო ნდობა,
ზდილობაც იყო შესანიშნავი.
ხმალი, ხანჯალი, ჩაკეცილ ქუდი,
ტანსა შვენოდა ჩამოსხმულს, წვრილსა,—
და ბევრის გულიც სიამეს ტკბილსა
გძნობდა (რა იყო ამაში ცუდი?!),
ტკბილს სიყვარულსა—ქალების გული,
ტურფა სურათით დატყვევებული.

68.

აი, გავარდა მხედარი ერთი,
მოსხლიტა უცებ მიწიდან ცხენი,
მიქროლავს—ალბათ, ახსენა ღმერთი,
მოძულებია თავისი დღენი.
უეცრათ იგი ჩამოხტა ძირსა,
გაყვა ფეხ-და-ფეხ, მიქროლავს ცხენი,
შეხე... პა, პა, პა! ჭირიმე შენი—
შემოაფრინდა კვლავ უნაგირსა.
მას სხვებიც მოყვენ... და ჰა, ჯირითი,
გულის წარმტაცი, არ ვიცი—რითი.

69.

აი, მეორე... გააგდო ცხენი,
გავარდა იგი, ჩიტივით მალი,
ცხენსაც მოედო მის სიფიცხენი,
მიქრის ელარუნით, მიბწყინავს ნალი.
შეკოტრიალდა უცებ მხედარი
და თავდაყირა მიქრის მდგომარე,—
გული ცახცახებს, შიშით მხტომარე,
თვალი მიკრული იმაზედ არი,
მარა კვლავ დაჯდა ლხენისა მჩენი
და მედიდურათ შექაჩა ცხენი...

70.

შეწყდა დაირა ცაცხვისა ძირათ
და ველზე, სადაც ბიბინებს მდელო,
გადაიშალა საკვრეტი ძვირათ
ზნე და მხნეობა საბძოლის ველო.
ზოგი სწორე ზის, ზოგი—კიდია,
ზოგი ხმალს თავზე მიაპრიალებს,
ზოგისა თოფიც დაიგრიალებს
და მიბჟყვიალებს ლამაზი დია,
ხერხს ხერხი მოსდევს სწრაფი და მალი
და მათ სიმარდეს ვერ ასწროებს თვალი.

71.

ირაზმებიან... რა უნდათ კიდე?
რათ აუღიათ, ნეტავი, შუბი?!
ველი ცახცახებს კიდითი-კიდე
და იმართება ვითომდა ჩხუბი.
რაზმსა რაზმიდან გამოუქროლებს
მხედარი ერთი, ვით გულსა შიში;
რა შეტაკება, რა იერიში,
არა ხდება და არ აგათრთოლებს,
მარტო შენ ახარ და შენი ცხენია,
რომ არ შეგემთხვეს სიმარცხენია.

72.

ისმის მათრახი, ცხენთა თქრიალი
და ელარა-ელური უზანგებისა,
ზოგან იარაღს გააქვს ბჟყვიალი,
ზოგან-კი თვალებს პირ-მჯნგებისა.
ზოგს აქ ქება და სახელი ელის,
ზოგსა ღალატობს მუხთალი ბედი,
ზოგი იძახის—„ვაიმე, დედი!“.
[ბჟუის ნაბეგვი შუბისა გძელის),
და ბძოლიდანა გამოდის იგი,
როგორც მოითხოვს ჯირითის რიგი.

73.

მარა არ ვიცი მე მაგის წესი,
თანდათანურათ აგიწერთ ვერა.
აჰა, წუთიცა ულამაზესი—
იწყება, ბოლოს, საამო მღერა.
ბიჭები ნელა, ცაცხვნარის ჩრდილში,
არონიებენ მოწყვეტილ ცხენებს.
სადამო ნელი წამოაყენებს
ხეების ლანდებს, გახვეულს ძილში,
თავდება დღეცა... და ამხანაგებს
ზოგი აქებს და ზოგი—აძაგებს.

74.

ასე იცოდენ ჯირითი ძველათ,
ეს სკოლა იყო ცხენოსან ჯარის,

და იწრთნებოდენ გადაშლილ ველათ
შავარდენები სამშობლო მხარის.
ახლა ბევრი რამ გამოიცვალა,
ჯირითი თითქმის მოისპო სულა,
და, რაღაც სევდით გარემოცულა,
გაღმა-გამოღმა რიონის ჭალა.
იცვალა ფერი ჟამმა და დრომა,
მიმოიხედე და ნახავ, რომა...

75.

ახ, ქუთაისი...

(შემდეგი იქნება).

გოგია ვინმე.

მგზავრის შენიშვნები*)

ახლა აღმოჩენილ წყაროებით თანდათან მტკიცდება, თუმცა ჯერ კიდევ მეცნიერულათ დასაბუთებული არ არი კარგათ, რო ქართველობა არიელებზე და სემიტელებზე უფრო ადრე ყოფილა გამოსული ისტორიის ასპარეზზე და დასახლებული მთელ მცირე აზიასა, მიდიასა, მესოპატამიასა და კავკასიის არე-მარეზე და თვისი კულტურა მას გადუცია მაშინდელ ძველ ხალხებისთვის. ამ მრავალ რიცხოვან ქართველთა წინაპრებს სულ ეული, ველური ხალხები ერტყა გარშემო და, მათ შორის, რამდენიმე ათასი წელიწადი გაგძელდა უსაშინელესი სისხლის ღვრა და ბძოლა, რომელსაც შედეგათ ის მოყვა, რო ქართველების წინაპრები, როგორც კულტურით დაწინაურებულნი მიწის მუშანი, მშვიდობიანი მშრომელნი დაამარცხეს ეულმა ცხენოსანმა, მწყემსმა, მეჯოგე მეომარმა ხალხებმა. მცირე აზიის სამხრეთიდან მას თანდათან ძლიერათ შოაწვა ეს ურდო და ქართველობა წასწია ჩრდილოეთისკენ, ჩაკეტა კავკასიის მთების ხეობებში, პონტის და კასპიის ზღვებს შვა მდებარე ადგილებში.

ამ ადგილებშიაც მან შესლო ღონიერათ არწივივით ფთების გაშლა... დაიწყო ახალი წარმატებული ცხოერება, რომელიც უკავშირდებოდა ფინიკიელთა, ეგვიპტელების და, შემდეგ, ელინთა ცივილიზაციას... მთელი ეს ძველი კოლხიდის მდიდარი არე-მარე ბერძენთა ახალშენებით იყო მოფენილი და აქ იმათი დიდი და მდიდარი რესპუბლიკები ყვავოდენ. აქ დიდ სავაჭრო და სამრეწველო ქალაქებში იმ დროის ცხოვრება დუღდა და გადმოდიოდა... აქ კოლხიდის მდიდარს ნიადაგზე ძველ ქართლოსიანთა ერის წინაპართა ზეგავლენით ჩაიყარა საძირკველი დიდი სულიერი და ნივთიერი კულტურისა, რომელმაც უკვდავების სული ჩაბერა ბერძენთა ცივილიზაციას. საბერძნეთის მითოლოგია, რელიგია, ისტორია, ფილოსოფია, პოეზია, ხელოვნება, ვაჭრობა, მრეწველობა, ყოველივე ის, რითაც ამაყობს ელინთა ქვეყანა, ჩაისახა და გაჩდა აქ, ამ ღვთისგან კურთხეულს, მადლიანს ადგილებში და, მერე, ამ ადგილებიდან, ბერძნების მეოხებით, იგი კულტურა და ცივილიზაცია მოედვა რომის დიდ იმპერიას, ევროპის ზღვასა და ხმელეთს, მთელ კაცობრიობას და, ამნაირათ, ჩვენმა ქვეყანამ მთელ ქვეყნიერობას დასდო დიადი ღვაწლი და მიანიჭა უსაზღვრო სარგებლობა და მადლი...

სადამოს ხუთ საათზე მივედით სოხუმში და სადილათაც დაგვირეკეს. ძალიან კარგი სადილიც გვაჭამეს. არაყი, წვანილი, თევზები, კალბასები, ყველი, თოლხოთ მოხარჩული კვერცხები, წვნიანი კერძი, მერე, შემწვარი ძროხის ხორცი და ზუთხი, ბოლოს, ხილი და ყავაც. სოხუმს ბოლაზი არა აქვს და გემები ნაპირს ვერ ადგებიან. ამიტომაც, ცოტა მოშორებით გააჩერეს გემი. ზღვის ზედა პირზე მოსრიალე ნავებმა ბევრი პასაჟირები შეგვმატეს. მარა ბევრიც გემიდან გადასხეს სოხუმში.

სოხუმი გათქმული ქალაქია მთელ რუსეთის იმპერიაში, როგორც საუკეთესო კლიმატური სადგური ფილტვებით დასუსტებულთათვის. სოხუმი ერთად-ერთი კურორტია ჩვენში საკუთრად ტუბერკულით დაავათმყოფებულთათვის, რომელიც შექნა და მოაწყო პრო-

*) იხ. „განთიადი", № 16.

ფესორმა ოსტროუნოვმა. აქ არი დიდათ ზომიერი, თფილი ჰავა, ქარის სახსენებელი სულ არ არი. თფილი, სასიამო ზამთარი იცის და მუდმივ აყვავილებულ-ამწვანებულ მცენარეთა სიუხვე რუსეთიდან იზიდავს ურიცხვ ავათმყოფს. ტუბერკულოთ დასნეულებულებს ავათმყოფობის პირველ და მეორე სტადიის დროს სოხუმში თამამათ აგზავნიან ჯ სნეულნი, თავს თუ მკურნალთა დარიგებისა შებ მოუვლიან, მიუცილებლათ, დიდ გაუმჯობესობასაც იგძნობენ აქ. სოხუმი — ეს ნამდვილი ცოცხალ ვარდების და ყვავილთა შორის გაშენებული ქალაქი. მარა ამავე დროს მას სიკვდილის ქალაქის სახელიც უნდა ვუწოდო. ეს ქალაქი ნამდვილ სასაფლავოს უმდიდრეს ძეგლს მოაგონებს ადამიანს, რომელიც (ქალაქი) მრავალფეროვან, საუცხოო ცოცხალ ყვავილებს თვალის მომხიბლველათ შეუმოს-შეუმკია...

სოხუმში არი რამდენიმე კარგათ გამართული სანატორია ფილტვებით დასნეულებულთა და ტუბერკულინით დაავათმყოფებულთათვისაც. რამდენათ მდიდარი და შვენიერია ბუნება სოხუმში, იმდენათ, თურმე, როგორც მითხრეს, ქალაქი მოუწყობელია და მოუწესრიგებელი იქ ცხოვრება.

სოხუმს ახლოს, ზღვის პირათ მდებარე **ახალი ათონია**. გემით სამი საათის სასიარულოა იქამდი. ამ ადგილზე მთელ რუსეთში გათქმული მართლმადიდებელთა მონასტერია გაშენებული, სადაც ნამდვილი ამერიკული ენერგია და მუშაობაა გამართული. აქ შენობებიც კარგია ჯ ბაღიც მდიდარი.

ახალ ათონთან ახლოს არი **ზუდაუთი**, რომელიც ზღვაში საბანაოთ საუკეთესო ადგილია და აგრეთვე კლიმატური კურორტიც, სადაც იკურნებიან ავათმყოფნი და ბევრ მოგზაურსაც იზიდავს იგი. აქიდან იწყება ზღვის პირათ მდებარე ძველი აფხაზეთის დაცემული ვაკე ადგილები, რომელიც დასახლებულია მხიარულ, სიცოცხლით სავსე ჩვენი მოძმედ ნათესავი აფხაზების მჭიდრო სოფლებით, რომელნიც სულ ერთიანა ბაღებსა და ხეხილებში ყვინთავენ.

სოხუმის ოლქის მდიდარ, საოცარ ბუნებას აფხაზეთი, რომელიც ჩვენ სახელოვან დიდ მეფეს, ვახტანგ გორგასლანს საბერძნეთის (ბიზანტიის) იმპერატორმა, ლეონმა მზითვად მისცა, როცა თვისი ქალი-ელენე ცოლათ მიათხოვა მას, დღეინდელ ქვეყნის შვილს ვერაფერს შველის და აფხაზი დღეს ძალიან დიდ სიღარიბეს და სისუფლეს განიცდის. რა არის ამის მიზეზი? რა თქმა უნდა, აქ პოლიტიკური და ეკანომიური მიზეზები მუშაობენ. მარა გაუნათლებლობას მაინც თლად დაუურუებია, მიწასთან გაუსწორებია დღეინდელი აფხაზი. იგი ჩვენ, ქართველებს ვეღარც-კი გვცნობს მაშინ, როდესაც ჩვენი ჭირი და ლხინი ძველათ განუყრელი, საერთო იყო და ბევრი სიკეთე აფხაზებისგან ჩვენ ქართველებს მიგვიღია და შეგვითვისებია... აქიდან, აფხაზეთიდან გაძლიერდა მთელ საქართველოში საქვეყნოთ სახელგათქმული, შესანიშნავი დინასტია ბაგრატიონებისა, რომელთაც სასახელოთ აწარმოეს ქართველთა ისტორია, მაშინდელ დროის და ადგილის მიხედვით და თანახმად... ქრისტიანობაც ხომ აქიდან დაიწყო...

დღეს აფხაზეთით აღარც აფხაზი სარგებლობს, აღარც სხვა ვინმე საქართველოს შვილი. ამ ედემს დღეს დაპატრონებია ათასი უცხოელი, უფრო ბერძენი და სომეხი, რომელთა თუთუნის პლანტაციები კაცს აკვირვებს თვისი სიმდიდრით და სიუხვით. ამ ბედნიერ არკადიიდან ყოველ წელიწადს ერთ მილიონზე მეტი ფუთი თამბაქო გააქვთ, სხვები მდიდრდებიან და აფხაზები-კი ტყავდებიან და ღარიბდებიან. ამ საწყალობლების განათლებისთვის, თვალის ახელისთვის, მათ მეურნობის გაუმჯობესობისთვის კაცი არ ზრუნავს ქვეყანაზე და არიან ასე წყვდიადში ჩამარხულნი და ჩვენგან მოწვვეტილნი. ბევრმა ქართველმა მამულიშვილმა გულით მოიწადინა ჩვენი ძმების — აფხაზების სამსახური, დახმარება, მათთვის თავდაუზოგველი მუშაობა. მარა, „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“, ისინი უკვალოთ დაიღუპენ და მას აქით არი საქმე ასე გულსაკლავათ ერთ წერტილზე გაჩერებული...

სოხუმიდან ზღვაზე პატარა ფურთვნა აგვიტყდა, რომელსაც ჩემზე არ უმოქმედნია. მე გამოცდილებით ვიცი, რო ჩემზე პატარა ფურთვნა-კი არა, დიდი ღელვაც არ მოქმედობს. მე შვაღამემდი პალუბას (გემის ბანი) არ მოვცილებივარ. შვენიერ გუნებაზე დამაყენა ზღვაზე მოგზაურობამ. ზღვის ზომიერი ჰავა რაღაც მკვდრეთით აღმდგენელ სიცოცხლეს და ენერგიას უმატებს კაცის არსებას. დიდი სიფხიზლე და სიმკვირცხლე ემატება კაცს და ხდები მეტისმეტათ ფხიზელი და მოძრავი. იქნება, ეს არი მიზეზი, რო დასავლეთის საქართველოს შვი-

ლი, როგორც შავი ზღვის პირათ მდებარე ქვეყნის მკიდრი, უფრო ფხიზელი და მოძრავია, ვიდრე ამერელი?! გინდა სულ პალუბაზე ისეირნო, იარო, ილაპარაკო, იკითხო და ძილი არ გეკარება, სანამ ძალიან არ დაიღლები.

საღამო მეტათ დიადი და შვინიერია პალუბაზე. ორთქლმავალი გემის უშველებელ მოყვანილობას და ტანს რიტმიულათ გააქვსხმაურობა, მანქანის ხრიალი მოგაგონებს ხვრინვას ზღაპრულ ველეშაპისას. ცა საოცნებოთ გადაწმენდილია. აქა იქ ვარსკვლავებიც გამოჩდენ და მთელი ხარისხი სავსე მთვარისა პირლაპირ თავზე დაგცქერის. ბწყინვალე დიადი მზე ზღვაში ჩასრიალდა და ირგვლივ გამეფდა სავსე მთვარის სინათლე. მთვარის სინათლეზე ცხადათ კიდევ ჩანს ფართე ნაკადული, რომელიც თეთრ ლენტათ მოყვება გემის განავლებ კვალს. გემი შეუპოვრათ მიაპობს ზვირთებს და მის დატაკებაზე ზღვას გააქვს ყურთასმენის დამატკბობელი შრიალ-შრიალი...

შვიდამე გადასული იყო და პალუბას გამოვემშვიდობე. ძილმა დამძლია... და დასაძინებელ ოთახში ჩავედი. მეორე დღესაც ზღვაზე მეტათ შვენიერი დღე გათენდა. დილით ძალიან ადრე წამოვდექი, რო მზის ამოსვლის დროს პალუბაზე ყოფილვიყავი და იქ მეყურებია დიადი მშათობის ამოსვლისთვის. გემი ნაპირებთან ახლო მიდიოდა. აღმოსავლეთით გამოჩდა „მზე დიადი“, რომლის ზღვაზე ამოსვლის მხატვრულათ აღწერას ჩემი სუსტი კალამი ვერ მოახერხებს...

რვა საათამდი პალუბაზე ვიდექ. ზღვის შვენიერ ნაპირებს თვალს ვერ ვაშორებდი. რვა საათზე ჩაიზე დაგვირეკეს. ჩავედი საწოლ ოთახში პირის დასაბანათ, სადაც სხვა პასაჟირებს შორის ორი უკვე წამომდგარიყო და ცხარეთ ლაპარაკობდენ. საგანი ლაპარაკისა იყო სოხუმის ქალაქის თავი. მოსაუბრენი იყვენ ბერძენი და რუსი. ბერძენი ასე შვახნის კაცი იქნებოდა, ჭაღარა შერეული, შვა ტანადობისა, თავსხვილა და ცოტა მუცელ წამობერილი. წვერი სამართებლით ქონდა მოპარკული და დიდი ულვაშები ყარამანივით კოხტათ გადაგრეხილი. შავი თვალწარბი მის მეტყველობას იერს აძლევდა. ტანთ ეცვა ევროპული ტანისამოსი და, როგორც ეტყობოდა, პრაკტიკის კაცი იყო, კომერსანტი, ვაჭრობაში ძალიან გამოცთილი და იმ ადგილებზე, სადაც საუბარი განსაკუთრებით მის სპეციალურ საგანს შეეხებოდა, იგი ხმას უმატებდა და გაბედულათ, შეუპოვრათაც ლაპარაკობდა, რო ძალა უნებურათ იზიდავდა ჩემს ყურათღებას.

—ოჰ! ძნელია აქ ცხოვრება და ნამეტურ ვაჭრობა! რუსეთში, ამ უდიდეს დამშვიდებულს, მდიდარს ქვეყანაში უშიშრათ ვერ გიცხოვრია, ვერ გივაჭრია. რომელი გაიძვერა, რომელი არამკითხე ავაზაკი დაგტყეუებს და წაგცინცლავს რასმე, არ იცი. რამდენი ხანია რუსეთში პურით ვაჭრობას და შავ ზღვაზე თევზის ვაჭრობის საქმეს ვეწევი და ის ამბები, რაც მე თავს გადამხვედია, რო გამოვაქვეყნო, გამგონეს თმა ყალყზე დაუდგება და თავ'რუ დაესხმის.

ჩვენში, საბერძნეთში-კი სულ სხვა არი.... და მოყვა იგი თავისებურათ, რომლისთვისაც მე ყური აღარ მიგდია. ყური არ დამიგდია იმიტო, რო, თუ ბერძენმა ლაპარაკი დაიწყო, გათავება აღარ იცის, წაბამს რაჭველ მესაზანდრესავით და გაბმით ერთ ხმაზე მოაყოლებს. ახლანდელ ბერძნებსაც, მის ძველ წინაპარ ათინელსავით, ჭერმეტყველება და ლაპარაკი დიდათ უყვარს და ეს არი მიზეზი, რო ვაჭრობაში ბერძენსაც და ურიასაც სომები ყოველთვის ამარცხებს. სომეხს ბევრი ლაპარაკი, მრავალ სიტყვაობა არ უყვარს. სხვის ჭერმეტყველებაზე იგი დაცინვით იტყვის ხოლმე: „ხოსუმეს ელი“. სომეხი ყოველთვის საქმეს უწვრილმანდება, ამაზე ფიქრობს დღე და ღამ და ცალიერ ლაპარაკში არ ხარჯავს ჭკუას, არ კარგავს დროს. ადესაში ერთი ჩემი კაი ნაცნობი აზნაური, ხუმარა სომეხი, გვარათ, ჰასანჯალალოვი ხუმრობით მეტყოდა ხოლმე: თურმე, ვაჭრობაში ორი დიდი გაქნილი, ცბიერი, უშველებელი მოტლეზილი ბერძენი და ურია ერთ დიდ ქვაბში გადახარჩეს და ერთი ნამცეცა, ნეკის ტოლა სომეხი გამოვიდა ამ ორ გადადუღებულიდანო...

საწოლ ოთახიდან გარეთ გამოველ და მესამე კლასის პასაჟირები დავთვალიერე, რომელნიც ზევით პალუბაზეამოსულიყვენ. ბევრი ქართველი ახალგაზდა ბიჭები მოდიოდენ ზღვის პირათ მდებარე ქალაქებისკენ სამუშაოთ. მე იმათი ნახვა ძლიერ გამიხარდა. ისინი ლამაზათ მღეროდენ „სულიკოს“, რომელსაც შვენიერათ აყოლებდა სალამურს ერთი ახალგაზდა სომეხი. სომეხმა ქართული კარგათ იცოდა და გამოველაპარაკე.

საიდან იცი შენ მოტივი ამ ლექსისა-მეთქი?

—მე ნოვორასისკში ხშირათ ვცხოვრობ

ქართველ მუშებს შორის. ისინი მღერიან „სულიკოს„ და იმათგან მეც ვისწავლე. ძალიან კარგი ლექსია სწორეთ.

ჩვენი დიდათ სათაყვანებელ მგოსნის ამ შესანიშნავ ლექსს, როგორც გამიგონია, ყოველგან დიდი ენტუზიაზმით და გატაცებით მღერიან ჩვენში ქალ-ვაჟნი. მახსოვს, სხვათაშორის, ამ ოთხი წლის წინათ იმ სახლში, სადაც, გარდაიცვალა ჩვენი გმირი, მეფეთა მეფე, ერეკლე II, საღამო იყო გამართული და თფილისიდან საზანდარიც იყო მოპატიჟებული. დიდძალი საზოგადოების თხოვნით, ანტრაკტებში საზანდარმა დაუკრა „სულიკო„ და მთელი საზოგადოება კახელებისა აუწერელ აღტაცებაში მოიყვანა. საზანდარს უკრავდენ სომხები და, მგონია, ერთი სპარსელიც ერია იმათში. მარა მაშინ ასე ტკბილათ არ მჩვენებია „სულიკო", როგორც ახლა. დიდი გძნობით უკრავდა სალამურს ახალგაზდა სომეხი. ქართველებსაც ძალიან შეყვარებოდათ ეს ბიჭი, უთუოდ იმიტო, რო სალამურს კარგათ უკრავდა და ქართულ სიმღერებს აყოლებდა ზედ.

ქართველ კაცს მგზავრობაშიაც უყვარს სიმღერა. ყოველი ქართველი, ქართველობაზეც (და მე ასეთი ქართველი ჯერ არ მინახავს) ხელაღებული, მგზავრობაში მოქეიფეა, ასე ვთქათ, პოეტია, რომელსაც თითქო გძნობა და ნიჭი ემატება, თანაგძნობა და სხვისი სიყვარული ეღვიძება, რო გატაცებას მიეცეს და დატკბეს ნამდვილი ესთეტიური სიამოვნებით...

გამოჩდა **გაგრაც**, რომელიც პრინც პეტრე ოლდენბურგის სრული საკუთრებაა. აქ არი გამართული შვენიერი „გაგრის კლიმატური სადგური". ზღვიდან ძალიან ახლოს მოჩანს დიდი, მაღალი ქედები, რომელნიც თოვლით დაზვინულან. გაგრაში, თურმე, ძვირფასი ტროპიკული მცენარეები და წმინდა უცოდველი მთის ბუნება იზიდავს ადამიანს დასასვენებლათ. აქ გაუმართავთ სახელმწიფო სასტუმროები და წყლით სამკურნალოც. მარტო აქაურს კლიმატურს სამკურნალოს მოსაწყობათ ყოველწელიწადს ხაზინა აძლევს 3½ მილიონს. მე გადმომცეს, აქ გამართული ყოფილა სასტუმრო, სადაც სტუმარს დღე-ღამეში მიეცემა ერთი კარგი ოთახი, ქვეშსაგების საცვლები, ელეკტრონული განათებით, გათბობით და ტელეფონით 75 კაპ. მდიდრებისთვისაც არი სასტუმრო, სადაც ოთახი დღე და ღამე 7 მ. ღირს. გაგრაში ავათმყოფისთვის ჰავა მეტათ შეზავებულია. ზღვის ჰაერი, მთის ჰაერთან შეერთებული, ძალიან კარგათ მოქმედობს სისხლნაკლებ, დასუსტებულებზე, ნერვებ აშლილებზე. გაგრა, თურმე, ნამდვილ ევროპულ კურორტს მოაგონებს კაცს.

გაგრას შემდეგ, არი **სოჩი**, რომელიც იქვე, ზღვის პირათ ძევს და საუცხოვო ზღვაში საბანაო ადგილათ ითვლება. აქ მკურნალის პოდგურსკის წყლის სამკურნალოა გამართული. სოჩის ახლოს გოგირდის აბანოებიც ყოფილა. სოჩს ჩრდილოეთით ცივი ქარებისგან იფარავს მაღალი ქედები და მუდამ პირმცინარე, იგი კოხტათ გაყურებს ზღვას და სამხრეთის ლურჯ ცას.

ლამაზ და შვენიერ სოჩის შემდეგ, ძევს **ტუაპსე**, რომელსაც კარგი მოწყობილი საბანაო ადგილები აქვს და გამკურნებელი ყურძნის მსხმოიარე ვაზებით გაშენებული ვენახები.

ტუაფსეს და ნოვორასისკს შვა ძევს **გელენჯიკი**, ან „თეთრი პატარძალი„, რომელიც გაზაფხულზე, თურმე, მართლაც პატარძალს გავს მორთულობით, ასეთი ლამაზი და შვენიერია. გელენჯიკი სულ ერთიანა ყვავილებს, ვარდებსა და ხეხილებში ყვინთავს და წარმოადგენს შესანიშნავ ადგილს ჰაერითაც და საბანაო წყლებითაც. აქიდან ქ. ნოვორასისკამდი სულ 23 ვერსტია.

აი, თავდება ჩემი მგზავრობის წერტილიც და შემიძლია ორი სიტყვით დახატო სიმდიდრე იმ შავი ზღვის პირათ მდებარე ადგილებისა, რომელიც გემით გამოვიარე.

აქ მოგზაურის თვალის წინ გაშლილია თავბრუდამხვევი, წარმოუდგენელი ბუნების დოვლათი, სიუხვე და სიტურფე, რომლის ნიადაგი უძველესი დროიდან გათქმული იყო თვისი დიდი სიმდიდრით, ნაყოფიერობით, უხვი მოსავლით, მეტათ თფილი ნაზი ჰავით. აქ არიცის ნამეტანი სიცხეები და გვალვები, რომელიც გადაწვავს, გადახრუკავს ხოლმე ყოველ ფერს ზაფხულის თვეებში. არც ყინვები იცის ზამთარში. ეს მთები-კი შემოსილია სხვა და სხვა მრავალგვარი და მრგვალფეროვანი ძვირფასი ჯიშის ხე-ტყეებით და ამ მთების შვაგულ მიწაში მარხია ყოველგვარი უმდიდრესი მადნები ათასნაირი ლითონებისა. თვით ზღვა, ეს კლასიკური შავი ზღვა, რომლის ნაპირებზეც აყვავდა უძველესი კულტურა და ცივილიზაცია, მდიდარია უთვალავი, სხვა დასხვა გვარი თევზებით და ზღვის ღორებით (დელფინებით).

ამიტომაც, აქ შესაძლებელია კოლოსალუ-

რი გავითარება მიეცეს პირდაპირ წმინდა ევროპულ მეურნობას, აყვავდეს და გაშენდეს თანამედროვე ხილნარი, გაჩაღდეს მეფუტკრობა, მებოსტნობა, მევენახობა, მეთამბაქობა, მეაბრეშუმობა, ხე-ტყეთა წარმოება და სხვა და სხვა. ამასთან ერთად აქ შესაძლებელია გაიმართოს, მოეწყოს და მოეფინოს წმინდა ევროპული ფაბრიკები და ზავოდები, რომელნიც ჩვენი ქვეყნის შვილებს ათასობით და ათიათასობით მოუყრიდა თავს და მისცემდა სიზრდოს, გაწრთვნიდა გონებითაც, პოლიტიკურათაც. თვით ზღვაც ხომ ათას ზღვაოსანს და ამდენსვე ევროპულათ თევზის მოვაჭრეს აღგვიზდიდა და სხ...

(შემდეგი იქნება).

ხომჯელი.

მაღარუს მუშის სიმღერა.

დიდ ხანს მოთქმას, უხმო მოთქმას,
თან ვატანდი დროთა ტრიალს;
გულის კვნესას ვუერთებდი
მაღაროში წაკატთ წკრიალს...

დღეს გარდვიქმენ... მფეთქავ ალში,
გავახვიე რიდე შავი,-
სულის წიაღს წავუკიდე
წინმსვლელობის ცეცხლი მწვავი!

შორით ვუჰვრეტ ნათელ ვარსკვლავს,
მომავლის ცას მოკამკამეს...
მივისწრაფი შეუდრეკლათ,
ეკვეთ, მივარღვევ შავ-ბნელ ღამეს!

ვინ შეწყვიტოს დროთა სრბოლა?
ვინ ჩააქროს სხივი მზისა?
ვის ძალუძს, რო შეაჩეროს
სწრაფი ტალღა მღელვარ ზღვისა?

მოსრიალებს მძლავრი ტალღა,
მოაქროლებს დროშას ხსნისას...
დრო დადგება-და ვიხილავთ
ნათელ სხივებს სინატრ მზისას!.

წინ, წინ, ძმებო!.. ჩვენს წაკატებს
ვაფრქვევინოთ ნაპერწკალი!
წავუკიდოთ ამ ბნელ-წყვდიადს
განთიადის სხივთა ალი!

ობოლი მუშა.

ალექსი.

(მოთხრობა)

I

მაისის მზის თფილი სხივები ოქროს მძივებით ეფრქვევოდა კოხტათ აღმართულ, მწვანე სამოსით მოსილ გორს, რომლის მწვერვალიდანაც ამაყათ გადმოიყურებოდა ძველის ძველი ეკლესიის ნანგრევები, და თვალ წარმტაცათ აფერადებდა, აშვენებდა იქაურობას...

ყვავილებით მოქარგულ გორის ფერდობზე, მზის ელვარე სხივებში ლაღათ დაფარფატობდენ ჭრელი პეპლები და ხან ერთ ყვავილს ესტუმრებოდენ, ხან—მეორეს...

ფრინველნიც ჟივილ-ხივილით ჩამოუქროლებდენ ხოლმე ფერდობს, სივრცეში გაინავარდებდენ და ელვის სისწრაფით იქვე ტყეში ჩაიმალებოდენ.

ყოველგან სიცოცხლის უხვი ძალა ჩქეფდა. სხივ-ფრქვეული ნაზი ყვავილებიც-კი იღიმებოდენ,—მზეს შეტრფოდენ გულ-გაღეღილნი...

და, ამ გორის გარშემო მდებარე სოფლების მცხოვრებნიც ამოძრავებულიყვენ, ღელავდენ, ბობოქრობდენ, თითქო მზის ცხოველმყოფელ სხივებს მათთვისაც ეგძნობინებია, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება, რო საჭიროა ახალი, შვების მომგვრელი ცხოვრების გამოჭედვა...

აგერ, ისინი გროვდებიან იმ ეკლესიის გარშემო, რომელიც ოდესღაც ჩვენ მებძოლ წინაპარებს აუგიათ მტრის გულის მოსაკვლელათ და ღვთის სადიდებლათ, რომელიც თავის დანგრეული კედლებით კიდევ უფრო ზდიდა მათ გულში განახლებისკენ მისწრაფებას,—და, ჯგუფ ჯგუფათ დაყოფილნი, კამათობენ, მსჯელობენ, გამოსავალ გზას ეძებენ... გორის მწვერვალი ხალხითაა მოფენილი. სიმღერა, სიცილი და ხმა მაღლა ლაპარაკი ერთმანეთში ირევა, ერთ ზედგარ ხმას ქმნის; და ამ ბობოქარ ხმას ცელქი ნიავი იტაცებს, შორს, შორს მიაქროლებს და გაღმა მაღალი მთების ორწოხში ჩააქვს, თითქო ჩაფიქრებულ მთებს ეუბნება:—,, რას ჩაფიქრებულხართ? რა გაწუხებთ? ხო ხედავთ,ხალხი მოძრაობს, თქვენც ამოძრავდით, გეყოთ ამდენი ფიქრიო''!...

მარა ისინი ნიავის დუდუნს ყურს არ უგდებენ, ხალხის მოძრაობა მათ არ აკვირ-

ვებს. კარგათ იციან, რო ხალხი მარად მოძრაობს, მარად წინ მიილტვის. და ვაი მას, ვინც მას წინ გადაეღობება! მთების ნამსხვრევებს ხშირათ შეუგუბავს ის ჩხრიალა ღელე, რომელიც ახლაც მარდათ მირაკრაკობს მათ ძირში. მარა ღელე ყოველთვის გუბდებოდა, ძალას იკრებდა და, შემდეგ, ერთბაშათ გადახეთქდა იმ ხელოვნურ ზღუდეს, ხოლო ნამსხვრევებს-კი თავის მჩქეფარ ზვირთებში გახვევდა და სელ კისრის ტეხით გაიგდებდა წინ... ასეა ხალხიც... ეს მთებმა კარგათ იციან და, აბა, ნიავის ნაამბობი მათ, როგორ გააკვირვებს.

აგერ, თოფმა იგრიალა: ერთი, ორი, სამი... რაზმელები სროლას სწავლობენ, ბძოლის ცეცხლით გულ-ანთებულნი საბძოლველათ ემზადებიან... კიჟინა და ხმაურობა თან და თან ძლიერდება... ბარა, აგერ ხალხი უცებ შეინძრა და ერთ ალაგას შეჯგუფდა... ეკლესიის ნანგრევთან, მაღალ ქვაზე უკან თან გადავარცხნილი, ახოვანი და ძალ-ღონით სავსე ჭაბუკი ავიდა, წარმტაცათ გამოქანდაკდა... ყველა მას მიჩერებია. მან ნელა ასწია მარჯვენა ხელი, მარცხნიდან მარჯვნით გააყოლა... და სამარისებური დუმილი გამეფდა ირგვლივ... ამეტყველდა ჭაბუკი... მისი ხმა თანდა თან მატულობს, თანდა თან უფრო ძლიერათ ხვდება მსმენელთა გულს... და, აჰა, ამქუხრდა იგი!... არა, კაცი უნდა გამოუთქმელი სიყვარულით იყოს გამსჭვალული იმ ხალხისადმი, რომელსაც ელაპარაკება, მათი კეთილ დღეობისთვის უნდა იწვოდეს მისი გული, რომ ასე ცეცხლივით აენთოს და ყოველი სიტყვა, ყოველი ხალისი და სახის მოძრაობა მსმენელთა გულის სიღრმეში აღბეჭდოს, ის უთხრას და აუხსნას, რაც მსმენელი დიდი ხანია გძნობდა, მარა სიტყვით ვერ გამოეთქვა, და გული დაუამოს.

აგერ, ჩიტმა ვადაუქროლა ხალხს თავზე, შეფარფატდა და იქვე ახლოს ხეზე შემოჯდა. ალბათ, ისიც მოხიბლა მისმა ჭერმეტყველობამ.

ჭაბუკის მაღალი შუბლი ოფლის წინწკლებით დაიფარა... მსმენელთა სულიერმა მღელვარებამ სახეზე ოფლის ცვარი აპკურა, მარა კვლავ სულ-განაბული უსმენენ.

მის ახლოს დგას მაღალ-მაღალი, მოსუული ვაშკაცი, რომელსაც არწივისებური ცხვირი აქვს და დიდრონი, ცეცხლის მფრქვევი თვალები. ის რაზმის წინამძღოლია. მას მარცხენა ხელით თოფი უჭირავს და მარჯვენათი წითელი დროშა, რომელსაც ნიავი ოდნავ არხევს, ეთამაშება ცელქი... მის გარშემო სხვა რაზმელებიც დგანან, ყველანი შეიარაღებულნი არიან... აგერ, 18 წლის შეიარაღებული ნაზ სახიანი **ალექსიც**. მარა, ღმერთო, როგორ ანთებია მას ეს ნაზი, შვენიერი სახე, როგორ გავარდისფერებულა ამისი ღაწვები! თვალები, გაბწყინვებული თვალებიკი ჭაბუკისთვის მიუპყრია და... მიწაზე -ფეხი აღარ უდგას, ფთებ-შესხმულია, ცის ლაჟვარდ სივრცეში დანავარდობს...

მას თვალწინ გამოსახვია ბწყინვალე, ჯერ უნახავი მზე, რომლის სხივებიც მთელ მის არსებაში ჩაქსოვილა, და ისიც თავ დავიწყებით მიქრის ამ მზისკენ... და ამ ქროლაში ტკბილს, ენით გამოუთქმელ ნეტარებას გძნობს.

ჭაბუკმა უკანასკნელი, გულის სიღრმიდან ამოკვეთილი სიტყვები ცეცხლის ნაკვერჩხლებივით მოფინა კრებას და... იგრიალა ხალხის ძლიერმა ხმამ. ამდენი ხნით შეკავებულმა მსმენელთა ენერგიამ გამოსავალი იპოვა და შეძრა, შეაწრიალა იქაურობა... ჰაერში ტყვიამ გაიზუზუნა და სადღაც შორს მისწყდა...

ხის შტოზე მჯდარი ჩიტი, რომელიც ამდენ ხან სულ განაბული იყო, შეფთქიალდა, წაიკვნეს —წაიჭიკჭიკა და თავის მფარველ ტყეში ჩაიმალა...

კრება დაიშალა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ მიდის სოფლებში. აგერ, რაზმელებიც ეშვებიან დალმართში... ალექსიც მათთანაა. უცებ მას დედის ხმა შემოესმა და შემოტრიალდა...

ორმოცი წლის, ჯერ კიდევ ძალ-ღონით სავსე მართა შვილს მიეგება და ალერსით უთხრა:

—შვილო, სამი დღეა სახლში არ ყოფილხარ; ახლა მაინც წამოდი, სადილი ჭამე და, მერე, წადი, გენაცვალე...

—ვერა, დედა...არ მცალია, საქმე მაქვს...

—ღმერთო, შენ სულ საქმე გაქვს! საწ-

ყალობელი დედა შენი და ოჯახი-კი სულ დავიწყე.

— არა, დედა, შენ, აბა, როგორ დაგივიწყებ! ამას რატომ ამბობ... ხო ხედავ-ყველა საერთო საქმეს აკეთებს, ყველა მოქმედობს. მე იმათ ხო ვერ ჩამოვრჩები... ლაჩარს დამიძახებენ...

—რა ვქნა, შვილო! მე-კი მეშინია და... მოსვენება აღარ მაქვს. შენ რო რამე შეგემთხვეს, მაშინ რაღა ეშველება უბედურ დედა შენს...

—მე რა უნდა შემემთხვეს, დედა! შენ ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, კარგათ იყავი...

უცებ დაღმართში მიმავალმა რაზმელებმა გულის ამტოკებელი სიმღერა შემოძახეს... უცნაური ძალით აღსავსე სიმღერა ტკბილათ ეფინებოდა იქაურობას და ზარასავით გუგუნებდა, წკრიალებდა. ალექსის სახეზე ალიმოედო, გული აუტოკდა.

—მშვიდობით, დედა! კარგათ იყავი!—მიაძახა მან ცრემლმორეული მართას და ელვის სისწრაფით დაეშვა ამხანაგებისკენ...

დედობრივი სიყვარულით გულ-ათრთოლებული მართა-კი ალაგიდან ვერ დაძრულიყო, იქავე იდგა, და ცრემლით სავსე თვალებს თან აყოლებდა თავის ალექსის, თავის ღვიძლს...

ვინ იცის, თუ, რა ცეცხლი ტრიალებდა ამ დროს მართას მღელვარე გულში!

II.

ბნელი ბურუსის საფარველი ჩამოწოლია მიდამოს... თოვლის თეთრ სამოსში გახვეული მთები ნისლით შებურვილან, თითქო არ სურთ დაინახონ ის საშინელება, რომელიც მათ გარშემო მდებარე სოფლებში ხდება, თითქო მათაც-კი ატკინა გული იქ გამეფებულმა კვნესა-ტირილმა და ბნელი ძალის აღვირ წახსნილმა თარეშმა...

ღამდება...

იმ გორს, სადაც ზაფხულში სიცოცხლის ძალა ფეთქდა, სადაც ხალხი ახალი ცხოვრების გასაჭედათ იკრიბებოდა და სათავისუფლო ძახილი, კიჟინა და სიმღერა ისმოდა — ახლა მუქინისლი დაპატრონებია, გარშემო შემოფენია და სოფლელთა თვალებისგან დაუფარავს, თითქო არ უნდა დაინახვოს მათ ის ალაგი, სადაც ისინი ისე აფთოვანებულნი და იმედით გულ-ანთებულნი იყვენ... ეკლესიის ნანგრევები აღარ ჩანს... იქ ახლა დუმილი, მკვდრული დუმილი სუფევს...

...ხოლო სოფლებში წესიერების აღსაღგენათ ჩაფარნი და კაზახნი დააქროლებენ გაოფლიანებულ ცხენებს...

...სდუმს ძრწოლვით გარე მოცული სოფელი... ბუნებაც ჩაფიქრებულია, აღარ მოძრაობს. მხოლოთ ღელეები ღა არღვევენ ამ საშინელ სიწყნარეს—ნელა მიდუდუნებენ, თითქო მათაც ეშინიათ, რო თავის ჩხრიალით არავინ გააბრაზონ... განრისხება-კი ისე ადვილია!.. საკმარისია კრინტის დაძვრა, მცირე უკმაყოფილების გამოცხადება,

სიბნელე თან და თან მატულობს,—და, აჰა, უკანასკნელათ ამოიოხვრა დღის სინათლემ: ცივმა ნიავმა ზანტათ გაისისინა სივრცეში და... სოფელი წყვდიადში გაეხვია.

აგერ, ვიღაც ღობეზე ფეხილათ გადავიდა და მართას სახლისკენ წავიდა. ძაღლმა რამდენჯერმე შეიყეფა. მარა მალე დაწყნარდა და სტუმარს კუდის ქნევით და წკმუტუნით მიეგება.

ის სახლის კართან მივიდა და ნელა დააკაკუნა.

—რომელი ხარ?—მოისმა შიგნიდან მართას აკანკალებული ხმა.

მე ვარ-ალექსი...

ვაიმე, შვილო! — წამოიძახა მართამ, სწრაფათ კარი გააღო და შვილი გულში ჩაიკრა. იგი თავ-დავიწყებით კოცნიდა შვილს...

სახლის კედელთან გძლათ გადგმულ ტახტიდან ალექსის უნცროსი ძმა—ნიკო ლ და ნინა წამოიჭრენ, ძმასთან მივიდენ და მათაც კოცნა დაუწყეს.

—ალექსი, მომე, ძამია, მე მაგი თოფი, შენ დაჯექი და ილაპარაკე!—შეეხვეწა მას 14 წლის ნიკო.

—ღმერთო, მომკალი და ქია!—წამოიძახა მართამ,—რათ გინდა, ბიჭო, შენ თოფი?.. მომეცი, გენაცვალე, ალექსი, ეს დასაღუპავი თოფი, ეგერ, კუთხეში მივაგდებ.

ალექსის მწარეთ გაეცინა და ღიმილით უთხრა:

—დედა, ისე ლაპარაკობ, თითქო თავისუფალი ვიყო, თითქო ყოველ წუთში დაჭერა არ მელოდეს... მქონდეს მე ეს თოფი, აგი არის ახლა ჩემი მცველი... ხომ იცი, ცოტა ხნით ვარ მოსული...

—ოი, მოგიკვდეს ჩემი თავი!.. რა ვქნა, მე უბედურმა?!—წამოიძახა მართამ და ტირილი დაიწყო... ნინაც აქვითინდა... ნიკო-კი სახე მოღრუბლული იდგა და ალექსის თოფსა და წელზე შემორტყმულ ტყვიებს თვალს არ აშორებდა...

—რა გატირებს, დედა? სულ ასე არ იქნება... მალე ჩვენც გვეშველება და ოჯახს დავუბრუნდები... ახლა დამშვიდდი და ერთი ეს მითხარი:—ოჯახის საქმე, როგორ არი? როგორ ცხოვრობთ?

—რაი?!! -ხმა მაღლა წამოიძახა ალექსიმ, სახე აენთო და თოფს ხელი მოუჭირა, თითქო მასზე უნდოდა გადაეტანა თავის გულის ჯავრი...

ნინაც გაწითლდა, შერცხვა, თავი ჩაღუნა და კუთხისკენ წავიდა... მისი უმანკო გული გველივით საზიზღარმა მოგონებამ მოკუმშა, საშინელი ტანჯვა აგძნობია...

ალექსი დისკენ გაქანდა, ხელი მოკიდა და თავისკენ მიიზიდა.

—მოდი, გენაცვალე, დაიკო, მოდი!.. სანამ შენი ალექსი ცოცხალია, შენს შეურაცყოფას ვერავინ გაბედავს...

ალექსი უცებ შეჩერდა, საშინელმა მწუხარებამ შეიპყრო მისი გული... ,,ვერავინ გაბედავს'' მწარეთ გაიფიქრა მან.— ,, შენ ხო ტყეში ხარ გადამალული, თავს იფარავ და ესენი-კი აქ უპატრონოთ არიან დაყრილნი!!.- არა, აღარ წავალ აწი აქიდან!..-,, არ წავალ და შენც მოგკლავენ და ამათაც კაი დღეს არ დააყრიან''... გაუელვა მას თავში და ტახტზე უღონოთ დაეშვა... თავ ჩაქინდრული ზის, ღრმათ დაფიქრებული ალექსი...

—რა მოგვიდა, შვილო?.. მაშინ იმ უბედურობას გადაეურჩით და აწი ღმერთია მოწყალე... დამშვიდდი, შემოგევლე!... მართლა, ნინა! ალექსი უპმელი იქნება და ერთი კვერი გამოვუცხოთ... რამდენი ხანია, სახლში საჭმელი არ უჭამია!...

—არა, დედა, მე არაფერი არ ნინდა... უნდა წავიდე. ვინ იცის, იქნებ, ვინმემ თვალი მომკრა და...

—ოჰ, ღმერთო! სად უნდა წახვიდე, შვილო, ამ ღამეში?...

—ამხანაგებთან, დედი!

—შორს არიან, ალექსი, შენი ამხანაგები?—შეეკითხა მას ნიკო, რომელიც ამდენხანს სდუმდა და ძმას სიყვარულით აღსავსე თვალებს არ აშორებდა. ეტყობოდა, რო მას ალექსი რაღაც არა ჩვეულებრივი სიყვარულით უყვარდა.

ალექსის გულს ტკბილათ შეეხო ეს ძმის კითხვა და ალერსით უპასუხა:

—არა, ჩემო ნიკო!.. შენ ჭკუით იყავი, ძამია! დედა შენს ყოველიფერი გაუგონე...

—კი!... წყნარათ უპასუხა ნიკომ და მისი შავი თვალები კვლავ ძმას მიანათა...

ალექსი ადგა, ყველას გამოემშვიდობა და კარისკენ წავიდა...

—დედა, შვილო! შენ იცი, შენი ჭირიმე; რა ჭკუით იქნები!.. თავს გაუფთხილდი, გენაცვალე!— ათრთოლებული ხმით უთხრა მართამ კარებთან მისულს ალექსის და ცრემლები ვეღარ შეიკავა,აქვითინდა ბედშავი...

მან უცებ მოიხედა; უნდოდა დედისთვის სანუგეშო სიტყვა ეთქვა, მარა ვერ გაახერხა და სწრაფათ გარეთ გავიდა, ღამის წყვდიადში მიიმალა...

. . . . . .

III

ზაფხულის მზის ბწყინვალე სხივები თრთოლვით მოსწყდა ამწვანებულ მთების მწვერვალებს, ცის თაღს გადაეკვლო, ააელვარა და... ჩაიფერფლა, გაქრა... საღამოს გრილმა ნიავმა ფთა იცქვიტა, ფერ მკრთალ სივრცეში შეფარფატდა და სოფელს ჩამოუქროლა, ხის ფოთლებს მიუალერსა, ააშრიალა და თვითაც ამ შრიალში ჩაექსოვა... ლაჟვარდს ცაზე ვარსკვლავნი აენთენ, აციმციმდენ... აგერ, თავი ამოყო ვარდისფრათ აელვარებულმა პირ სავსე მთვარემ, არეს მორცხვი ღიმილით გადმოხედა და სხივთა კონები მოაფრქვია...

ჩაეძინა დღის ვარამით დაღლილ სოფელს...

ღრმათ ჩაფიქრებული ალექსი-კი თავის ეზოს მიუახლოვდა, ღობეზე ფთხილათ გადავიდა, ცოტა გაიარა და უცებ შეჩერდა.

—რო მივდივარ, რა მიმაქვს?—თავის თავისთვის ჩაილაპარაკა მან და იქვე ტოტებ გაშლილ მუხის ჩრდილში მიიმალა...

მთვარის სხივებით მოფენილი მუხის ფოთლები ტოკავს, შრიალებს... ხოლო თოფს დაყდნობილი ალექსი—კი მწარე ფიქრების ქსელში გაეხვია.

...—სანამდი უნდა ვიყო ასე?.. მე თუ გინდა კარგი, გავძლებ, ყველაფერს ავიტან; მარა ოჯახს, რა ვუყო?.. რამდენი ხანია საშინელ გაჭირვებაში არიან... საწყალობელი დედა! ღონე გამოელია ამდენი აუტანელი შრომით და გაჭირვებით... მე-კი, დახმარების მაგიერათ, ვაწუხებ.

... ახლა რო მივდივარ, რა მინდა? რა უნდა მივუტანო ტირილის და მწუხარების მეტი?.. არა, არა მეტი აღარ შემიძლია! წავალ, დავიკარგები სადმე!... მარა, სად წავიდე? მათი ასე დატოვები რომ არ შემიძლია!.. მართალი არი სანდრო... მეტი გზა აღარ არის, იმ საქმეზე უნდა წავიდე... ოჰ, როგორ მეძნელება! ასე მგონია, ჩემს სულში რაღაც ნათელი სხივები ქრება და სიბნელე მეფდება... კაჩაღის სახელით დღემდიც ვიყავი მონათლული ზოგიერთ უნამუსო ადამიანებისგან. მარა აწი ნამდვილი კაჩაღი, მკარცველი ვიქნები!.. ღმერთო,რა მაფიქრებინებდა მე, თუ აქამდი მოვიდოდი!.. მე და კაჩაღი!? განა ეს შესაძლებელია? განა მე მიტომ არ ავიღე იარაღი ხელში, რომ უსამართლობას შევბძოლებოდი? ახლა-კი თვით მე უნდა გავხდე უსამართლობის ჩამდენი!.. რა ვქნა? არ შემიძლია იმის ატანა, რო ჩემი დედა, და ძმა შიმშილით მეხოცებოდენ და სხვები-კი ფუფუნებაში ათასობით ხარჯავდენ... მორჩა... გათავდა... მშვიდობით ჩემო ნათელო მზეო! ყოველ გაჭირვების დროს შენი სხივები მინათებდა ცხოვრების გზას, შენკენ მოვქროდი და...: ახლა-კი გადავიჩეხე... სად მივალ, არც მე ვიცი''.

მან სწრაფათ წამოავლო თოფს ხელი, ღობისკენ წავიდა და იქ, რო მივიდა, ერთხელ კიდევ მოიხედა, თავის პატარა სახლს დაუშტერდა... დიდხანს, დიდხანს უცქირა, თითქო კედლების გარღვევა და თვისი დედის, დისა და ძმის დანახვა უნდაო. მარა შემდეგ— ,,არა, ასე ვერ მივალ!.. წამოიძახა ⁄ ღობეზე გადაეშვა...

ობოლი მუშა.

(შემდეგი იქნება)

შორის ძიების სხვერპლი.*)

III.

ელისაბედის წინათგრძნობა საფუძველიანი გამოდგა. მარინე ცას სწვდა სიხარულით, ელისაბედს კვატის გაყიდვაზე რო შეესწრო. ამით მან თავის შესაქცევი საქმე გაიჩინა. ივლიტას სწორეთ ზედ-გამოჭრილი იმფერი და იმდენა კვატები დაეკარგა, რანაირებიც ელისაბედმა შუშანიკას მიყიდა. უეჭველია, ივლიტას მოპარა ელისაბედმა კვატები და გაყიდა. თუ მოპარული არ იყო, რატო დაედვა მას ისეთი ფერი, ან კიდევ, რატომალავდა იმათ კაბის ქვეშ. ვინ იყო, რო თავის საქონელს ფარულათ ყიდდა. ივლიტამ თელი მეზობლები „გათართნა“ და წყევლა-კრულვით ამოაგდო და აქ-კი ეს უნამუსო დედაკაცი, ვითომც და აქ არაფერიაო, თავისუფლათ ყიდის სხვის კვატებს. არც-კი ეშინია: შამომესწრება ვინმე და გამიგებენო...

ასეთ ფიქრებში გართული მარინე ნელის ნაბიჯით გადავიდა ეზოდან.

პატარა ფერდობებ შორის, რაზედაც მცხოვრებთა ქოხ-მახები იყო ჩამწკრივებული, ვიწრო სასოფლო გზა გველივით მიიკლაკნებოდა, ელისაბედის ეზოს უვლიდა, შემდეგ, დასავლეთისკენ იხრებოდა და პირდაპირ დიდ შარა გზაზე გადიოდა. აქვე პატარა ღელე მირაკრაკებდა და საიდუმლო ხმებს ჩაჩურჩულებდა მასზე ნაზათ თავდახრილ ტურფათ აბიბინებულ მცენარეთ.

ელისაბედის ეზოს პირდაპირ, გზის გამოღმა მათია ბარბაკაძე, ივლიტას ქმარი, ცხოვრობდა.

მათიას ეზოს, დასავლეთიდან, ზემოაღნიშნული დიდი სასოფლოშარა-გზა უვლიდა,

*) იხ. „განთიადი“, № 17.

რომელიც პირდაპირ ბაზარში მიდიოდა და აქიდან—კი რკინის გზის სადგურამდი.

ცოტათი დაცილებით, სადაც ეს შარაგზა ორღობეს უერთდებოდა, სწორეთ მათიას ეზოს კუთხეში ჩრდილო-დასავლეთით, გვარიანი მოზდილი ღელე მიმდინარობდა. ამ ღელემ, განსაკუთრებით გაზაფხულზე, ძლიერი ადიდება იცოდა. ამ დროს არაფერს ინდობდა იგი.—გააფრთებული მიშხუოდა და მილეკავდა ყველაფერს, რაც-კი წინ გადაეღობებოდა: წისქვილებს, ხიდებს და ხშირათ ახლო-მახლო მდებარე გლეხთ-კაცის სარჩო საბადებელსაც.

გამოღმა მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში ცვივდებოდენ. ივინი მოწყვეტილი იყვენ სოფლის „ცენტრს“—ბაზარს და იძულებული ხდებოდენ ეცადათ მანამდი, სანამ წყალი არ დაიკლებდა და შესაძლებელი იქნებოდა ხიდის გაკეთება.

გადებდენ უზარმაზარ ხის ძირისგან ხიდს, ათასნაირათ მიამაგრებდენ კიდეებზე, (კვირაობით ცდებოდენ ამისთვის), მარა მოვიდოდა ისევ ნიაღვარი და სულ ერთიანა წალეკავდა ამოდენ ნაწვალ ნაშრომს. ამ რიგათ, მათ გაჭირვებას დასასრული არ უჩდა: ქვის ხიდის გამკეთებელი და თავი და თავი-კი მოთავე არავინ იყო.

მარინე ნელი ნაბიჯით დაყვა ორ-ღობეს, ელისაბედის ჭიშკართან შეჩერდა. ირგვლივ მიმოიხედა და კატასავით ფთხილათ მათე ბარბაცაძის ეზოში ჩახტა. მას მოთმინება აღარ დაურჩა, რო ჭიშკრიდან შამოევლო; გზის შემოკლება არჩია, მიუხედავათ იმისა, რომ აღმართი და ბარდ-ეკლები ქონდა გასავლელი.

ქშენით აირბინა მარინემ ეს აღმართი, ოდას უკნიდან შამოუარა და ფართე აივანზე შეუმჩნევლათ ავიდა.

ივლიტა ამ დროს დაბალ სამფეხა სკამზე იჯდა და გამალებით წინდასა ქსოვდა. მარინეს ფეხის ხმაზე იგი შეკრთა და შეშინებული თავი მაღლა ასწია.

– რამ შეგაშინა, შე ქალო!- გამოეხმაურა მას მარინე და, მისალმების შემდეგ, ჩამოჯდა იქვე ხის ტაბურეტ სკამზე.

—ჩაფიქრებული ვიყავიდა...აგერ, მზეც მომდგომია,—ამ სიტყვებით ივლიტამ ადგილი გამოინაცვლა.

—დასწყევლოს ღმერთმა! ყოლიფერი ჩვენი შემაწუხებელია. იმისანაი სიცხეებია, რომ არ იცი, რა უნდა ქნა კაცმა. სული ველარ მოგითქვამს, ისე დეიხუთა ჰაიერი,- თქვა მარინემ და გაოფლიანებული პირი-სახე თავსაკრავი ჩითითმოიწმინდა.

– ჩვენ კიდევ, რა გვიშავს, ჩეროში ქე მაინც დავჯდებით. იკითხოს საწყალობელმა კაცებმა, თვარა!..დახურებულ პაპანებაში უნდა ურტყან და ურტყან ოყიანი თოხი!..

—არა, რომ იტყვიან გადატრიალდა ქვეყანაო, ესაა სწორეფ. თუ დეიწყო წვიმა საშვალი და სახიდებელიარ აქ.წვიმს და... წვიმს განუწყვეტლათ. თუ ასიცხდა, ცეხლი ეკიდება ყოლიფერს. წინეთ, მახსოვს, ზენა ქარი რო დაუბერავდა, თოჯათ გააგრილებდა ყოლიფერს და ახლა სადაა ზენაი, ან რამე...

—ბუნება-კი არა, კაციც გამოცვლილია, ჩემო დაია. სადაა ახლა ძველათ,ჩვენ დროში ქალიშვილები და ყმაწვილკაცები რომ იყო. ყველაყაი წამხთარი და გაფუჭებულია. გუშხამ აქანაი ვინცხა კაკარტიანი კაცები და ქალიშვილები გვიარენ. უი... უი... რანახა ჩემმა თვალებმა, რა საშინილება ნახა. ქალო, აგი გახუნტრუცებული გოგუები პირდაპირ თავზე აჯდებოდენ კაცებს. ყვიროდენ, ხარხარობდენ, ერთმანეთს თხრილში აგდებდენ. სულ დაპწკინა და დაჯგვლიმა ციცები ამ შვა დღისას ბიუბშა. გინახავს და მოგსწრია კაცს... ჩვენც—კი ვიყავით ქალიშვილები,მარა ვინცხა კაძახი, რავა გაგვიბედავდა ხელის შეხებას!!.

—აგი კიდომ არაფერი.. უკეთეს გეტყი, აგერ. ერთი ვინცხა გაქუცული მეგრელი უჩიტელი ჩამოსრულა აქანაი. ივანიკაის გოგოს, აი, პოგომნაზია რო გაათავა ქუთეიში, გადაკიდებია-მიყვარხარ, მიყვარხარო და ქე არ შუუცდენია, თურმე. მუცელი გაბიზინებული აქ, თურმე,.. კარში აღარ დადის...

—უი. უი!. რავა მოჯაყულა, რავა მოჭრია ცოცხლითაი კისერი!..

—აი, ამისთანაი ბარიშნებია ახლანდელი ბარიშნები!..

—აგი, მე თუ მკითხავ, კლასის ბრალია ყოლიფერი. რა ეკლასება გოგუებს. შეისტავლიან ორ ღერ რუსულს და, მერე, თელი ქვეყანა მათი გონიათ. ეხუნტრუცებიენ, ეხუნტრუცებიენ: მე ნასტავლი ქალი ვარ, არშიყობა სირცხილი-კი არა, განათლება

გძნობის ტალღა.

მყუდრო ნავის იალქანზე ჩამოეკიდო ყოფნის დროშა
ზღვამ უძირომ, ქოთ-ქოთ ტალღამ თეთრი აფრა ათამაშა,
მძივთა კოშკში, შეუმცნობი, დროთა მწუხრში გამოფინა,
და წალკოტი ჩაგრულთ შვილთა აღთქმის მხარეს მოაფინა.

* *
*

ქვეყნის ზვირთი. ცრემლთა ტალღა კლდეთა ნაპრალს მიახეთქა,
აჩუხჩუხდა ბედის წერა, ამოძრავდა მიწის ფეთქა...
დრომ წარმოშვა ღიმთა რიდე, შავი ცდომა გადამქრალი,
გძნობის გრდემლზე გამოჭედა ხმა ცხოვრების მომავალი...

* *
*

საუკუნემ გამოკვეესა ქვეყნის ხუნდი ცრემლთ ქურაზე,
ცელქმა სიომ ჩაუქროლა, აიტაცა სევდის მთაზე,
ღრუბელთ გროვა მოახვია ცის სივრცეში განაცივი,
ბედის კორტოხს გამოსტაცა მოელვარე თეთრი სხივი...

* *
*

გძნობის ტალღამ გამომრიყა, უგძნობ ფიქრში გადმი-
[სროლა,
უკვდაებათ გარდაქმნილი, მწუხრის ღალღა ჩამიქროლა,
იმედები, შვების მფენი, პარნასის მთას ჩამობანა,
შავსა ზღაპრათ გამოჭედა ეს სოფლიო ამოცანა..

* *
*

—ეჰ, ვინ უწყის მიწის ეტლი, რომელ ზვირთებს მიგაბა-
[რებს,
სულის ლტოლვა მომავალის, თუ ბედის ხომლს ასამარებს...
ქვეყნის ცრემლი, შავი ფიქრი, სად ყვავილზე აღმოჩდება,
მგოსნის მუზა, სიმთ ქვითინი, თუ, ვით გძნობა, ჩამოდნება!..

ს. ტაიფუნი.

მათეს დასაფლავება.

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან).

I

ალიონი იყო.

დღის სინათლის მოახლოვებით ფერმკრთალი ვარსკვლავები ტრედის ფრათ მოკამკამეცის სივრცეში თანდათან ინთქებოდენ.

დღიური შრომით დაქანცულ სოფელ ფსხალარას მცხოვრებთ კიდევ ვერ დაეღწიათ თავი ტკბილი ძილისთვის.

ერგვლივ გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეს მხოლოთ ნელი სიოსგან შერხეული ხეების ფოთოლთ შრიალი არღვევდა.

—ვაი, ჩემ შავ დღეს! უბედურს!...

ჩე-მო ბა-ბა, ჩე-მო ბა-ტო-ნოო!... რა მი ქე-ნი ეგი!...—დაიღრიალა სახლის აივანზე გულზე ხელებ დაყდნობილმა სიმონამ. ამას მოყვა ქალთა უცნაური, გულშემზარავი წივილ კივილი და ამცნეს კუთხემეზობელთ ოჯახის უფროსის, მათე ხირკაძის გარდაცვალება.

ათი წუთიც არ იქნებოდა გასული, რო ყოველი მხრიდან მოაწყდა მეზობლები მიცვალებულის სატირლათ.

ხანგრძლივი თავში ხელების ცემისა და ღრიალის შემდეგ, გამოიხმო სიმონა სახლის აივანზე ბიძა მისმა, გარდაცვლილი მათეს უფროსმა ძმამ-სიკომ, დაუძახეს კიდევ რამდენიმე ხანშიშესულ, გამოცთილ პირს და შეიქნა ბჭობა—თუ რაფერ მოაწყონ დასაფლავება.

-რავა აპირობ, ბიძი?—დაეკითხა სიკო სიმონას.

—რა ვიცი... რავა მირჩევთ თქვენ... უპურღვინობა არ ივარგებს... ოჯახის მამაა დ ძაღლივით ხო ვერ გადავათრევ.. მომეპრება თავი საზოგადოებაში!—ამბობდა ხანგამოშვებით თვალცრემლიანი სიმონა.

– რავაც გენებოს, ბიძი, მარა, მე, თუ მკითხავ, მაგის დრო არაა ახლა! ყველაფერი ერთი ხუთად ფასობს და რა დროის ქელეხია! სახში, რო მოგსვლოდა საყოფი ღვინო, კიდო გაბედავდა კაცი და ახლა, რაფერ შეიძლება! თუ იყიდე, ხო იცი, რა ღირს, ას მანათადაც ვერ იშონი საპანეს; გადასახურავი, რა უნდა შამოგივიდეს, იმდონი, მეხუთედ ხარჯსაც ვერ დაგიფარავს და ჩავარდები ვალებში; მიცვალებულს არაფერს არ წაადგება და შენ ქე დეიფსები.

—შე კაცო, თედორიე იტირა მისმა შვილებმა პურღვინით და მათეს გასვენებაზე არ უნდა დალიოს კაცმა ერთი ჭიქა ღვინო?! ღმერთმა მტერსაც ნუ ათქმევიოს მაგი“!—ჩაერია ლაპარაკში სტეფანიე.

—არ ივარგებს, არა, თუ არ იქნა ღვინდასალევი! —დაადასტურა ბესომაც.

—რავა შეიძლება უმისობა—განაგძო სიმონამ—მთელი საცხოვრებლიდან რო გადავდგე, მაინც უნდა გავასვენო პურღვინით. რაც სხვას არ უქნია ჩვენში, იმას მე რაფერ ვიზამ! ერთი საპანე ღვინო ქე მაქ სახში და ერთ ორ საპანეს, თუ მიშინით სადმე, ქე იკმარებს.

—საჭამადი?—გააწყვეტია გაბრიამ, რომელიც აქამდი ხმას არ იღებდა.

—ლობიო და ფლავი.

—თებზი არ იქნება?!—გაკვირვებით შეეკითხა იაგორე.

—თებზი კი არა, ხიზარალა არ გინდა! მკვახეთ მიუგო სიკომ, რომელიც ეტყობოდა, ცოტა გულმოსული იყო მისი წინადადების მიუღებლობის გამო.

—აპა ლობიე და ფლავი სორეხიეს ტირილზეც ქე იყო, ჩაიბუტბუტა იაგორამ და იქვე მდგომ ტაბურეტზე ჩამოჯდა.

II

საბოლოოთ გადაწყვიტეს ქელეხის გაწყობა. კვირა იყო და დასაფლავება ოთხშაბათისთვის დანიშნეს. ხუთი მანათი ერთიდან ისესხეს, თუმანი მეორედან,—ამგვარათ შეაგროვეს ექვს თუმნამდი და გაგზავნეს ქუთაისში კუბოს, შეჭამანდისა და პურის შესაკვეთათ, სიკოს ბიძაშვილი ექვთიმე. ეს უკანასკნელი საკმაო შეძლების მქონე კაცი იყო, დიდი ნდობა ქონდა მოპოებული ლაზარეს ფურნეში და ზოგიერთ სხვა ქუთაისელ ვაჭრებთანაც და, როდესაც—ფულების სიცოტავის გამო, საჭიროება მოითხოვდა მიცვალებულის დასაფლავების დღეს საჭირო პურის, ან სხვა რამეების ნისიათ წამოღებას,—ყოველთვის იმას გაგზავნიდენ.

ხალხი ბლომათ მოგროვდა. უფრო მოხუცებულებს შეამჩნევდით, რომელნიც მხოლოთ ჭამა სმისთვის მოსულიყვენ, თორე მომზადებისა და ჭირისუფლის ხელის შეწყობისთვის არცერთი არ იტკენდა თავს.

სიკომ განკარგულება მოახდინა, რო დასაპატიჯებელი წერილები დაემზადებიათ. მოიტანეს მიხაკიეს დუქნიდან კონვერტები და ქაღალდები და შეუდგენ წერას.

სამი საათის შემდეგ, უკვე მზათ იყო საამასამდი მოსაწვევი წერილი.

იქ მყოფმა ყმაწვილებმა დაინაწილეს ახლო სოფლებში დასარიგებელი ბარათები და წავიდენ ფეხით მათ კუთვნილებისამებ ჩასაბარებლათ.

შორს გასაგზავნი წერილების ხელის მოკიდება ყველას უმძიმდა.

ზოგიერთი დასაპატიჯებელი 30-40 ვერსტით იყო დაშორებული სოფელ ფსხალარას, რისთვისაც საგანგებოთ უნდა გაეგზავნათ კაცი.

ფეხით წასვლაზე ყველა უარს ამბობდა და ცხენები-კი, მობილიზაციის გამო, ძალიან ნაკლებათ იშოვებოდა სოფელში.

დატრიალდა სიკო და, როგორც იყო, იშოვა სამი გამხმარი ჭაკი ცხენი.

ამგვარათ, დანარჩენი წერილების გაგზავნაც უზრუნველ ყოფილი შეიქნა.

ორი კაცი ჭურების რეცხას შეუდგა; ორიც ღვინის საყიდლათ გაგზავნეს სოფლებში. მოაწია სადილობამ.

მასპინძლისგან გაშლილ სუფრას თითქმის ოცდაათ კაცამდი შემოუსხდა, რომელთა უმრავლესობა მოხუცებულები იყო. დაიწყეს საღღეგძელოები და, საკმაოთ შეზარხოშების შემდეგ, გაბეს თავისებური მუსაიფი: „ლევანია, გინახავს, ივანიეს ღორებმა რო ამომაგდო! ჩამოსულიყვენ გუშინ ყანაში და არ დოუტუებიათ ჩემ ბარობაზე არაფელი“, ლაპარაკობდა ერთი.

„ყოვლათ ბინძური კაცია ე უბედური, ნიკოიე: დღე არ გავა, რო საზღვარი არ გადატეხოს! წასულიყო იქითა ხანებში და ორი არშინი ჩეეკავებია ჩემი ადგილი“ — ამბობდა მეორე.

ხანგრძლივი სმის შემდეგ, როგორც იქნა ადგენ და წავიდენ თავთავიანთ სახლში.

მეორე დღესაც იგივე განმეორდა: კიდევ გასაძღომათ შეიყარა თავი მოხუცებულებმა ტ მუშა ხელი ნაკლებათ იყო.

გაჭენდა მესამე დღე და არც საჯდომები იყო დამარაგებული დაპატიჯებულთათვის, არც ღვინო იყო მოტანილი და არც პური!

ისევ მოხუცებულებს შეეყარათ თავი გასაძღომათ! ამ უკანასკნელთ, ვითომც საქმეს ვაკეთებთო, ბრინჯის ქიშმიშისა და ლობიოს დარჩევა ეკისრათ, მარა, ჭამეს თუ არა სადილი, იგიც მიატოვეს და გაიპარენ.

როგორც იქნა სიკოს მაცადინობით, საღამოს შეიყარა თავი რამდენიმე მუშა ხელმა.

ზოგი პურის მოსატანათ წავიდა, ზოგი ღვინის და ზოგიც—საჯდომების კეთებას შეუდგა.

ჩამოიარეს სოფელი და ჩამობოქეს, თუ სადმე სუფრები და ტაბურეტები იყო.

შვალამედი ეზიდებოდენ ზოგი ურმით და ზოგიც-მხრით.

ოც საჯენზე გაშალეს ეზოში სუფრა.

სკამები აღარ აუვიდათ და იძულებული გახდენ, მათ მაგიერათ, ფიცრები და დიდი ხეები გაეწყოთ.

III

გათენდა ოთხშაბათიც— მათეს დასაფლავების დღე.

სუბუქ ღრუბლებით გარშემორტყმული ცა დედამიწას მოწყენით დაყურებდა.

ნელი ნიავი ოდნავ არხევდა სიმონას სახლის აივანსა და ჭიშკარზე გაკრულ შავ ძაძებს.

ზალის გვერდით, პატარა წინა ოთახში, ნოხით დაფენილ ტახტზე იდგა თეთრათ შეღებილი კუბო.

მიცვალებულის თავთან მდგომ სასანთლეზე რამდენიმე წვრილი სანთელი იწვოდა.

იქვე შეამჩნევდით ტაბურეტზე მჯდომ მედავითნეს, რომელსაც დავითნი ბუხარზე ჩამოედო და ყვინთავდა...

ზალა დაფენილი იყო ძველი ნოხებითა ლ ფარდაგებით ჭირისუფალ, ახლო ნათესავ და მეზობელთა ქალების დასაჯდომათ.

სახლის აივანზე გადმომდგარიყო ძაძებში შავი ცხვირსახოცით თავწაკრული სიმონა, რომელიც, დაპატიჟებულთა მოლოდინში, ჭიშკრისკენ იყურებოდა.

სიკოს მოეყარა ეზოში თავი რამდენიმე ყმაწვილისთვის და არჩევდენ, თუ რაფერ გაენაწილებიათ ერთმანეთში შრომა, რო რიგიანი პატივი ეცათ მოსულთათვის და მასპინძლისთვის სირცხვილი არ ეჭმიათ.

სახლზე ცოტა მოშორებით, ორ მაღალ ბიჯგს შვა გაეჩაღებიათ დიდი ცეცხლი და სხვილ სარზე ჩამოკიდებულ უზარ მაზარ სპილენძის ქვაბებში ხარჩავდენ ბრინჯსა და ლობიოს.

პურები ხულაში დაეწყოთ და მიეყენებიათ ერთი ხანში შესული კაცი.

ხულის წინ მდგომ მაგიდაზე ორი კაცი ოთხათ ჭრიდა ორ-ორ ოყიან პურს და იქვე მდგომ გოდრებში აწყობდა.

ერთი კაციც ჰურებს უდგა დარაჯათ.

სუფრის ერთი თავი, რომელზედაც საპატიო სტუმრები უნდა დაეჯდინათ, უფრო სუფთად იყო გაწყობილი: საფენებით, ბოთლებით, ფერადი ქაღალდის ხელსახოცებით. სკამებიც უფრო რიგიანი ქონდა შემოდგმული.

დანარჩენი ნაწილი სუფრისა მოკლებული იყო ყველა ამას.

ცოტა მოშორებით, სადაც შეჭამანდები მზადდებოდა, შეამჩნევდით ათამდი დაკაპიწებულ, სუფრაზე მოსამხურეთ დანიშნულ ახალგაზდას, რომელთაგანაც ზოგი ჭიქა-საინს რეცხდა, ზოგი ღვინოებს ასხამდა და სხ.

სახლის წინ, ნიავზის ძირში, დაედგათ რგვალი მაგიდა, რომელზედაც იდგა შეძვეღებული პატარა ყუთი, საწერ კალამი და ოთხიოდე ფურცელი ქაღალდი.

მოლარეობა ექვთიმესთვის მიენდოთ, როგორც შეძლებული და სანდო კაცისთვის; გადამხურველთა სიის შედგენა ადგილობრივ სკოლის მასწავლებლისთვის.

IV

დილის ათი საათი იქნებოდა და მოსულთაგან არვინ არ ჩანდა ეზოში, გარდა ბავშვებისა.

ეს უკანასკნელნი, რიცხვით თითქმის ორმოცამდი, შემოსეოდენ და ისეთი უძღები და ხარბი თვალებით ჩაჩერებოდენ ხულის წინ მდგომ გოდრებში ჩაწყობილ დაჭრილ პურს, რო, გეგონებოდათ ერთი კვირის მშიერი არიანო.

—აბაა!.. ვაჭამოთ ამ ბოვშებს რამე და მევიშოროთ, ბარემც თავიდან!—მიაძახა მოსამსახურეთ ერთმა გძელ წვერა, ხანშესულმა კაცმა, რომელიც ხელში კრიალოსანს ათამაშებდა.

მოსამსახურეებმაც ჰაჰეთ, ბარემც, თვარა, მერე ვეღარ მეიცლით!—დაუმატა მეორემ.

ხუთი წუთის შემდეგ, ყველა ზემო დასახელებული პირები შემოსხდომოდენ სუფრას და საუზმეს შეექცეოდენ.

თერთმეტი საათიდან დაიწყო მოპატიჟებულთა დენა.

მოდიოდენ ფეხით, ცხენებით და ურმითაც. მოსულთ შვა ეზოში ეგებებოდათ თითო ან ორ-ორი ახალგაზდა და ხელში ხელ გაყრილი შეყავდათ მიცვალებულთან.

ზოგი ეზოში ჩამოსვლამდი იწყებდა ტირილს და მოდიოდა წეწვა-გლეჯით, ზოგი ჭიშკრიდან და ზოგიც—შვა ეზოდან.

რა და რა ნაირი ფორმითა და სიტყვებით არ ტიროდენ!..

უკვირდებოდით, და სულ სხვა და სხვა ნაირი სურათი გეშლებოდათ თვალწინ...

აგერ, ერთმა, რომელიც არც-კი იცნობდა, თურმე, გარდაცვლილს მოიგლიჯა თავიდან ჩაბალახი, იტკლაცუნებდა ორივე ხელებს მელოტ თავზე და მოყვიროდა: ვაი, ჩემს მოსწრებას, ძმაო მათეე... გამომეგებე შენაბურათ, გენაცვალეე... შენ ქე გიყვარდა ჩემი მოსვლაა... და სხ.

აგერ, მეორემ მიაგდო ქუდი ხის ძირში და მორთო ბღავილი: ვაი, შენი ცოდვა, შე უბედუროო... რავა უღალატე შენ ნაკვტავ ოჯაახს... რავა მეიძულე შენი ცოლი და შვილიი...

მესამეს დაუყრდვნია გულზე ხელები, აქიკინებს თავს და მოზუის: ძმაო მათეე... რა გიქნია ეგი, შე უსინდისოო... ფუი, შენ კაცობაას... მაგას მოველოდი შენგაან... და სხ.

მიცვალებულიდან გაბრუნებულნი ჭირისუფალთ გადაეხვეოდენ და მიატირებდენ:

რა იმედი უნდა გითხრათ, გენაცვალეე... გიღალატათ თქვენმა კარქმა მამაამ და სხ.

იმოდენა ხალხმა მოიყარა თავი, რო საკმაოთ მოზდილი ეზო ძლივს იტევდა.

ნაირ-ნაირ ტანთსაცმელსა და „შლიაპებში“ მორთული ქალიშვილები, ფერად-ფერადი ქოლგებით ხელში და ულვაშ აწკიპინებული ყმაწვილები, ბუზებივით ირეოდენ ვრთმანეთში.

ერთი შეხედვით გეგონებოდათ—სასეირნოთ და დროების გასატარებლათ მოსულანო. კაკლის ხის ძირში მდგომ მაგიდას, რომელზედაც გადასახურავს ღებულობდენ, ირგვლივ შემოსეოდა ხალხი და უშვერდენ გროშებს მოლარე ექვთიმეს.

— ჩაწერეთ ჩემგან, თავადმა პაატა დინჯაძემ . . . . . 1 მ.

—მეც დამწერეთ, პეტრე სიმონისძე, მამლაძემ . . . . . 50 კაპ.

—ახლა, ჩემი დაწერეთ, სპირდონ ოტიასძე მიფშუკულიძემ . . . . 40 კაპ.

„გაგიგონიათ, ამისთანა სიძვირეში, ათი შაურისა და ორი აბაზის გადახურვა?!—ეკითხებოდათ ექვთიმე.“

„გავალება ასეა“ და...—აძლევდენ პასუხს.

V.

—აბა!.. მობძანდით და დაბძანდით.

ბატონებო!—მოუწოდა მოსულთ სუფრისკენ ერთმა დაბალი ტანის თმათეთრამ, რომელსაც მინდობილი ქონდა თვალყური ედევნებია, რომ უსადილოთ არავინ წასულიყო.

ამის გაგონება და ხალხის მოწყვეტა ერთი იყო.

გაექანა ყველა ადგილის დასაკავებლათ.

ქალი კაცს უსწრებდა, დიდი-პატარას, ღვდელი-დიაკონს, აზნაური-გლეხს და თავადიყველას.

ოც საჯენზე გაშლილი სუფრა თვალის დახამხამებაში აივსო.

ვინც ვერ მოასწრო, უადგილოთ დარჩა და უნდა ეცადათ, სანამ არ ისადილებდენ უკვე დამსხდარნი.

„აბა!... პურ-ღვინო, აბა!.. მალე“ ო და ორმა კაცმა მიარბენია სუფრის ერთ თავთან პურით საესე დიდი გოდორი; მეორე-შვა სუფ-

რაზე მიაყენეს; მესამეც-მეორე თავში და, ამ რიგათ, ჩამოურიგეს ყველას ნახევარ ოყიანი ნაჭრები.

— ლობიო გამოგვიგზანე, ლობიო! აბაა!.. ბიჭებო!.. აბაა!.. გენაცვალეთ!— მიაძახა სუფრის ზედამხედველმა მოსამსახურეთ;

ორმა კაცმა ძლივს მიათრია სუფრასთან ამოქნილი ლობიო სავსე დიდი ქვაბი, საიდანაც ჩამოურიგეს ყველა სუფრაზე მჯდომთ.

—ამ ოჯახ დასაქცევს, მარილი კი არ უქნია აბიზა, იძახის ერთი.

— მარილი ქე აქ, პიმპილე აკლია, თვარა ამბობს მეორე.

შვენიერი ნახელავი გოუკეთებიათ! ამოუწე, აბა!- ელაპარაკება მესამე თავის მეზობლათ მჯდომს.

მიუხედავათ აზრის ასეთი სხვა და სხვაობისა, — ხუთი წუთის განმავლობაში მოწმინდა ყველამ საინები.

ერთმა მოხუცმა ასწია და შეუშვირა სინათლეს ღვინით სავსე ჭიქა, გახედა ცალი თვალით, მოსვა, შეანძრია ღვინო ჭიქაში, კიდევ გახედა სინათლეზე და შეეკითხა მის გვერდში მჯდომ პავლეს.

— ძაან ღვინო არაა, სა იყიდეს აწი?

— არაფელი არ ვიცი, ცოტა შაბის გემოს დეიკრავს, თვარა არა უშავს.

— ოქრუა ტყლიპაძეს გამოართვეს, ბატონო, სემის პირში, ას ას მანათათ საპანე!— გაცა პასუხი მსახურმა, რომელიც, დოქით ხელში, დაცლილ ჭიქებს ავსებდა.

— ვაი, ჩვენი ცოდვა! რას მევესწარით ამას!

გახსოვს, პავლია,ექვს აბაზათ, რო იყო საპანე ღვინო?

— აბაა!— გადააქნია თავი პავლემ და იმოდენა ლუკმა ჩადო პირში, რო გეგონებოდათ ეს არი დაიღჩობაო.

—აბა!.. ფლავი... აბა!.. ბიჭებო, აბა!.. ჩქარა!..—გაისმა კიდევ სუფრის ზედამხედველის ხმა.

გაჭივრებით მოათრიეს სუფრასთან ფლავით სავსე დიდი ქვაბი და ჩამოურიგეს ყველას.

—ძაან არ გოუკეთებია! ამ დაბოლოს დეისტავლა გიგოიამ ფლაკის კეთება!—ამბობს ერთი.

— ამას არც ზეთი აქ, არც არაფელი! — ჩაიბუტბუტა, აგერ, ვიღაც დედაბერმა

—იმ ოჯახქორმა, შაქარი ვერ უქნა პეტერე!—ლაპარაკობს მესამე.

მიუხედავათ ასეთი უკმაყოფილებისა— ყველამ მოწმინდა საინები.

VI.

თითქმის საათნახევარი ისხდენ სუფრაზე და თვრებოდენ, მაშინ, როდესაც მოსულია ორი წილი, უადგილობისა გამო, უჭმელი დარჩენილიყო და სუფრის გათავისუფლებას უცდიდა.

ვინ იცის, შეიძლება, კიდევ დიდხანს არ გახსენებოდათ ადგომა, რო ყველას ყურათღება ერთ გარემოებას არ მიეპყრო: მოისმა შორიდან გულშემზარავი კივილი... ცოტახნის შებდეგ, ჩამოვიდა ეზოში ათამდი ცხენოსანი, რომელთაც ერთი ქალი მოყავდათ.

ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ცხენზე გლეჯდა ყველაფერს, ძლივს ამაგრებდენ...

ეზოში ჩამოსვლისთანვე გადმოეშვა უნაგირიდან და მთელი თვისი სიმძიმით დაასკდა მიწას! მიშველეთ!.. დაიკივლა უცნაურათ. ამართა ორმა კაცმა, შეუდგა მხრებში და გამოაჩოჩა პატარაზე, მარა, ჩაიკეცა და შენცარ მომიკვდე!-ადგილიდან ვერ დაძრეს! ორმა ხელებში სტაცა ხელი, მესამე წელში შეუდგა და, როგორც იქნა, წამოაყენა. მარა, გაატარეს პატარაზე, თუ არა-ისევ ჩაიკეცა! „მამაა“.. მიშველეთ!...—ყვიროდა შემლილივით, ხმა

დაკარგული, იგლეჯდა თმებს და იხოკავდა ლოყებს, რომელთაგანაც ღვარათ გადმოდიოდა სისხლი.

—ვინაა არ იცით"!?-ეკითხებოდენ ერთიმეორეს გაოცებული მაყურებლები.

—მიცვალებულის გათხოვილი ქალიშვილია,

თქვა ერთმა ყმაწვილმა.

შემოუსხდენ სუფრას დანარჩენები და ისევ ის სურათი განმეორდა, რომელიც პირველათ იყო.

ამ დროს, კიდევ გადიშალა ერთი ახალი სურათი: ოცამდი ტოპსიკებით დატვირთული ბავში გადვიდა ჭიშკარზე!

ერთს, აგერ, მოუდვია ზურგზე რაღაც დიდ ზეწარში გაკრული და ძლივს მიათრევს! მეორემაც, აგერ, გადაათრია ლობეზე ავსებული ტომარა!...

—ეს რაღაა!-იკითხა ერთმა უცხო წვეულმა.

—პური მიაქვთ თავიანთ სახლში.

—მასპინძელმა დაურიგათ?

—თავათ აბოჭენ სუფრაზე, სანამ ჩვენ ავალაგებდით!-განუმარტა ერთმა მსახურთაგანმა.

VII.

დაღამებამდი ორი საათი თუ იქნეოდა. ზოგი შორიდან მოსული წვეული უკვე წასულიყო.

რამდენიმე პირი ხელმეორეთ დაბრუნებოდა სუფრას და ისეთი მადით შეექცეოდა გეგონებოდათ, არა თუ დღეს, გუშინაც არაფერი უჭამიაო.

ზოგს იმ ზომამდიმორეოდა ღვინო, რო ჩაკეცილიყო ხის ძირში და მიძინებოდა!

ერთი მოხუცი გადაწოლოდა ლობეს და პირიდან ასაქმებდა!...

მეორე ძლივს შემჯდარიყო ცხენზე, რომელსაც, ხან ერთი მხრით გადაეკიდებოდა დაგლეჯილი ხურჯუნივით, ხან-მეორე მხრით!,..

აგერაც, რამდენიმე კაცი ბანდალ-ბანდალით გადვიდენ ჭიშკრიდან: გზაში ერთმანეთს აყენებდენ!...

ექვთიმე გადასახურავათ შამოსულ ფულს ითვლიდა.

—რავაა საქმე?-შეეკითხა სიკო, რომელიც ამბის გასაგებათ გამოსულიყო.

—თუთხმეტ თუმანს კიდო აკლია!-უპასუხა ექვთიმემ.

—რა მოხელე იყო, რო შეყარა ამდონი ხალხი და ჩეიგდო თავი ვალებში!

ხარჯი ხუთას მანათს აღემატება და საიდან ასწორებს! კაცისას არ გეიგონებს, მა მამაცხონებული და რავაც ერჩიოს, ისე ქნას!-ნაღვლიანათ თქვა სიკომ, დააქნია ხელი და ისევ ჭირისუფლის ადგილის დასაჭერათ წავიდა.

—ხალხი ათასზე მეტი იქნებოდა და გადამხურველთა რიცხვი რომ ორასამდიც ვერ ავიდა, რატო შეიქნა ასთე?!-ეკითხებოდა მწერალი ექვთიმეს.

—ხუთი და ექვსი რომ იყო ერთი ოჯახიდან მოსული, მიტო! მეიტანა ორი აბაზი ბ გონია, შვიდიც-კი მევიდა!-უპასუხა ექვთიმემ.

—აბაა!... ახალგაზდებო! ყმაწვილებო! გავასვენოთ მიცვალებული, თვარა დაგვაღამდა! -გადმოიძახა სახლის აივნიდან ერთმა სხვილ-სხვილმა მოხუცმა.

ყველა მიაჩერდა იმ ოთახის კარებს, რომლიდანაც ცხედარი უნდა გაბოესვენებიათ...

პატარა ხანს იქით, რამდენიმე ოფლგადამსკდარ ახალგაზდას ქშენით აქონდა კუბო ეკლესიისკენ ამავალ შელმართზე...

მიცვალებულს მხოლოთ ჭირისუფლები და მეზობელთა ხუთიოდე ქალი მიყვებოდა.

აკ. Иოს—ნი.

21 ოკტომბერი 1915წ.
ქ. ქუთაისი.

კრიტიკა.

ილია ჭავჭავაძე, როგორც დირიკოსი—პოეტი.

(27 ღვინობ. 1837—30 აგვ. 1907წ.)

„ნეტა, ვინც კარგი საქმით
აღნიშნავს თავის დროსა,
ის აქავ ეწაფება
უკვდავების წყაროსა?..“

ილია ჭავჭავაძე.

ავიღოთ ახლა პოემა „დიმიტრი თავდადებული“ და უფრო დაწვრილებით განვიხილოთ იგი. „დიმიტრი თავდადებული“, რომელსაც აღტაცებაში მოყავს ბევრი ჩვენში, მე მიმაჩნია ყველაზე უფრო სუსტ თხზულებათ ილიას თხზულებათა შორის. იქ არ არის არც ერთი ცოცხალი ადგილი. ლექსია მძინარი, ზარმაცი, პროზისებური და მექამანჩისებური. „დიმიტრი თავდადებულის“ კითხვა კაცს არ ამხნევებს, არ უღებს გულში მამაცურ გძნობას ბძოლისასა, არამედ უღონო, პასიურ გძნობას მორჩილებისას. ეს მტრალა მოთხრობა, არამც თუ არ ამაღლებს კაცს, არამედ გულს უჩაგრავს, აგდებს მას სასოწარკვეთილებაში; არამც თუ არ აღძრავს გმირულ გძნობას, არამედ გძნობას სიმხდალისას. სიკვდილი სასახელოა, როცა გმირულათ კვდება კაცი. შოთამ თქვა:

ჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,
სიკვდილი სახელოვანიო.

სიცოცხლე გვიყვარს... როდესაც ჩვენ ვკითხულობთ ვიზემე, რომელიც გმირულათ მომკვდარა, სასოწარკვეთილება კი არ ისახება ჩვენ გულში, არამედ მხნე, გმირული გძნობა ბძოლისა, მოქმედებისა. მარა, როდესაც კაცი თვისი ხელით აიყრის თავის იარაღს და უწინააღმდეგოთ, უბძოლველათ ჩააგდებს თვის თავს მტრის ხელში, ამგვარ კაცს საცოდაობის მეტი არა შეუძლია რა აღძრას ჩვენ სულში. აი, ამიტომ „დიმიტრი თავდადებულის“ წაკითხვის შემდეგ, კაცი არ რჩება სულით ამაღლებული, გამხნევებული, არამედ დაჩაგრული, გულ-გატეხილი, სასო-წარკვეთილი. ეს გარემოებაც იმას უნდა მივაწეროთ, რომ ილია ჭავჭავაძეს აკლია ქეშმარიტი პოეტური ტალანტი. გმირული მოქმედების აღწერა დიდ ხელოვნებას მოითხოვს, ხოლო უღონო, პასიური მორჩილება, სადაც არ არი არაფერი მოქმედება, უფრო ადვილი ასაწერია და ჩვეულებრივი ნიჭის საქმეა.

აქ მინდა ადგილი დავუთმო ბ-ნ სილოვანის შენიშვნებს *) „დიმიტრი თავდადებულის“ შესახებ. ეს შენიშვნები მე მიმაჩნია მართალი და მიუდგომელი კაცის კრიტიკულ მსჯელობათ და, ამიტომაც, თლად ამოვწერ აქ „კვალიდან“. „თუ მკითხველი, ამბობს ბ-ნი სილოვანი, ოდნავ მაინც გავითარებულია და მსჯელობა შეუძლია, ამ პოემის კითხვის დროს მას უნებლიეთ ებადება საკითხი: რისთვის წირავს სულს მეფე? ამ საკითხის პასუხათ ავტორი მეფეს ალაპარაკებს:

„მე მეფე ვარ და მეფობის
რიგი ვიცი, რაში არი...
თუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს,
მგელს დაუგდოს თავის ცხვარი!.“

ავტორის წინაალმდეგ, ჩვენ ვფიქრობთ, რო დიმიტრის, როგორც მეფეს, არ ცოდნია, თუ რაში მდგომარეობს „მეფის რიგი“, თორე ეს რა „რიგია“, რო მეფე ყლინს ეძლევა თავის ნებით და ხალხს უთაოთ ტოვებს? რით იყო მეფე დარწმუნებული, რომ იგივე ყლინი, მის თავის მოკვეთას შემდეგ, უმეფოთ დარჩენილ ქვეყანას არ შეეხებოდა და ნაცარ-ტუტას არ ააღენდა?

„ფუ იმ მწყესსა, თავს უშველოს,
მგელს დაუგდოს თავის ცხვარი!?

ეს სიტყვები კარგია, მარა საქმით-კი გამოდის, რო მწყემსი ცხვრის ფარას ღვთის ანაბარათ ტოვებს და ხელის გაუნმრევლათ მგელს კბილებში უვარდება. ჩვენის აზრით, ამისთანა მწყემსსაც „ფუ“ ეთქმის, რათგან მისი საქციელი, თუ სიმხდალის არა, უგუნურობის ნაყოფია, წინ დაუხედავი და უანგარიშო თავ-გაწირვაა...

მეტათ სიმპატიური პირი იქნებოდა ჩვენთვის დიმიტრი მეფე, რომ ის სარწმუნოებისთვის სწირავდეს თავის სულს. სარწმუნოებისთვის საწამებლათ გამზადებული პირი საფუძვლიანათ დარწმუნებულია, რო, როცა გულ-ხელ-დაკრეფილი მტერს ნებდება და თავის ღვთის სახელის მოწოდებით თავსა სწირავს, ამით ხალხში ძლიერათ გააღვიძებს სარწმუნოებისადმი პატივისცემას და სიყვარულს. და, როცა-კი მეფე უხმლოთ და უიარაღოთ მტერთან მიდის და „მამკალიო“ ეუბნება, ამ გვარ მაგალითს ხალხის ბუნების მხოლოთ გალაჩრება შეუძლია, და არა გაგულადება და გამხნევება.

ჩვენ გვახსოვს სოფლიო ისტორიიდან

*) იხ. „კვალი“ № 18. 1894წ.

მხოლოთ ერთი მაგალითი, როდესაც მეფე მტერს თავისით ნებდება და თავს შეაკლავს. ერთხელ, დოროელები საპერძნეთის ერთ კუთხეს, სახელდობ ატტიკას, შეესიენ და მისი დაპყრობა უნდოდათ; ატტიკის მცხოვრებლებმა მარჩიელს მიმართეს; მან თქვა: „ის მხარე გაიმარჯვებს, რომლის წინამძღოლიც მოიკვლისო“. ათინის მეფემ-კოდრმა ჩაიცვა უბრალო კაცის ტანისამოსი, წავიდა მტრის ბანაკში, ასტეხა იქ ჩხუბი და მტერს განგებ თავი შეაკლა. როცა დორიელებმა შეიტყვეს, რო მათ მიერ მოკლული ათინის მეფე იყო, მარჩიელის წინასწარმეტყველობის შეეშინდათ და გაიქცენ.

მე მესმის ამგვარი თავის შეწირვა. აქ ხალხისადმი სიყვარულიც იხატება, სიმხნეც და მასთან ჭკეა და მოსაზრება, უტყუარი ანგარიშიც. კოდრი დარწმუნებული იყო, რო მისი სიკვდილი ნაყოფს მოიტანდა. მარჩიელების (ორაკულების) წინასწარმეტყველობას საპერძნეთში ძველათ, ისე უყურებდენ, როგორც ქრისტეს მოსვლის პირველ საუკუნეში ქრისტეს სიტყვებს უყურნებდენ ხოლმე მისი მორწმუნენი. ეგ სულ სარმწუნოების საქმეა. და, აბა, რა კოდრის საქციელის შესადარებელია ჩვენი მეფის დიმიტრის საქციელი! ერთი სწირავს თავის თავს, სრულიათ დაჯერებულია, რო თავის სიკვდილით მტერს დაამარცხებს და თავის სამეფოს უბედურებას ააშორებს, მეორე-კი მიდის წინდაუხედავათ, სამეფოს შესახებ არაფერ განკარგულებას შვრება (უნდა ვიფიქროთ, რო მეფეს იმედი ქონდა, კვლავ ჯკან დავბრუნდები უვნებლათო) და კვდება ჯალათის ხელით.

ამ გვარათ, დიმიტრი თავდადებული არ წარმოადგენს ჩვენთვის მეფეთა შორის სანატრელ იდეალს. მარა დიმიტრი ისტორიული პირია და, მაშასადამე, ავტორის ნაკლულოვანებათ მხოლოდ ის უნდა ჩავთვალოთ, რო დიმიტრის ამგვარი უაზრო თავდადებით ერთობ აღტაცებულა, ეს მეფე თავის პოემის გმირათ აუყვანია და იდეალათ თვალწინ გვიყენებს.

როცა „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ დიმიტრი თავდადებულის ცხოვრებას და ჩვენ მიერ აღებულ პოემის შინარსს ვადარებთ, თითქმის ვერაფერ გასხვავებას ვპოულობთ, მეფე დიმიტრის გულშემატკივრობა თავის ქვეშერდომთადმი. დამარცხებულის ყეინის წინადადება: ან თვით გამოცხადდი ჩემთან, ან შენს ქვეყანას ავაოხრებო; მეფის მიერ დიდებულთა მოწვევა და მათი თათბირი; მეფის ამოჯინება კრების წინააღმდეგ, რომ უთუოდ უნდა წავიდე ურდოსო; ღვდელმთავრის აზრი, რო წასვლაურჩია; მეფის მისვლა ურდოს და მისი თავის მოკვეთა,—ყველა ეს ძლიერ ვრცლათ არის აწერილი „ქართლის ცხოვრებაშიც“. ჩვენი პოეტის საკუთრება პოემაში მხოლოთ ის არი, რომ 1) დიმიტრის თავგადასავალს მოგვითხრობს ვიღაც მეფანდურე (ეს წესი მოთხრობებში ხშირათ უხმარიათ სხვა და სხვა მწერლებსაც ჩვენს პოეტამდის), 2) მოხუცისა და მისი ორი შვილის გამოსვლა. ამგვარათ, პოეტის ფანტაზიასა და აღმაფრენას აქ ბევრი არაფერი უმუშავნია.

ჩვენის ნაზრით, საუკეთესო ადგილი პოემაში არი მეფისადმი მიმართული მოხუცის სიტყვები, უკეთა ვთქვათ—აზრი, რასაც მოხუცი ეუბნება მეფეს და გძნობა, რომელიც იხატება მოხუცის სიტყვებში:

...„გულს რათ გვიკლავ? რათ მიდიხართ?

ნუ თუ, მეფევ, ხსნა არ არი?
ქუდზე კაცი დაუძახე,
მოაგროვე სპა და ჯარი.
ცოტა ვართ, მარა კარგნი ვართ,
ვინც-კია, ყველა მდევია...
ბევრჯელ უნახავს ქართველის მტერს,
რო ცოტაც ბევრის მძლევია.

აჰა, მეფევ, ორი ბიჭი,
მხრებში რომ ამომჯდომია,
ორივ ჩემი შვილი არი
ერთი მეორის მჯობია,

მიირთვი და ინაცვალე,
ჩემ ქვეყანას მტლათ დაუდე!
ომში, მეფე, გაჩვენებენ,
რა ლომებს ზდის ქართველის ბუდე,

შეკრიბე დიდი, პატარა,
გაუძეღ წინამძღოლადა,
მტერს წინ დახვდი... ვინც უკუდგეს,
დედა შეერთოს ცოლადა.

ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფევ,
ბევრი რამ გადახედია.
მარა უომრათ მტრისა წინ
არ წაუხრია ქედია.

ნურც დღეს ვიზამთ ამ საქმესა
უომრათ ნუ დავმარცდებით,
თუ ვერა ვძლევთ, დავიხცნეთ
სახელითა და დიდებით!!!

ასე ათავებს მოხუცი თავის სიტყვას და

ამ სიტყვას მე ყოველთვის აღტაცებაში მოვყავარ და ვამბობ: „აი, კაცი, რომელსაც არ შეხებია ლაჩრობა და რომელსაც ესმის სამეფოს წარმომადგენლის დანიშნულება! ის მხოლოთ ის არის ჩვენი თანაგძნობისა და თვით სამეფო ტახტის ღირსი, და არა მეფე დიმიტრი, როგორც პოეტი ფიქრობს“ — მეთქი.

„ქართლის ცხოვრების“ თქმულებიდან პოეტს დაუმალავს ერთი გარემოება, ურომლისოდაც დიმიტრის პიროვნება ნამდვილათ არ დაეხატება მკითხველს თვალწინ. ეს ის გარემოებაა, რო მეფე დიმიტრი თავდაპირველათ თავის ხალხის შემბრალებელი, მოწყალე და ღვთის მოყვარე იყო, ხოლო რამდენსამე წელს შემდეგ, ხალხის სამსახურიც დაივიწყა და თვით ღმერთიც: სამი ცოლი შეირთო, უსჯულოებასა და უწესოებას ხელი მიყო და მისი მაგალითით მთელი სამეფო გაირყვნაო. ჩვენის აზრით, დიმიტრის საქციელი (მტრის შებძოლების შიში და მტრის წინ ლაჩრულათ ქედის წახრა) მეფის გარყვნილ ცხოვრების შედეგი უნდა ყოფილიყო, თორე „პატარა კახს“ განა ერთხელ და ორჯელ დამუქრებია ასჯერ უფრო ძლიერი მტერი? — მარა, მოხუცის არ იყოს, „მტრისა წინ არ წაუხრია ქედია“. —

ხომლელი.

ჭოლა ლომთათიძის დახასიათება.

გაზ. „თანამ. აზრის (№ 211) თანამშრომელი ბატ. ანი კოხტათ ახასიათებს თავის ამხანაგ მეგობარს, მეორე სახ. დუმის დეპუტატს და მწერალს, ჭოლა ლომთათიძეს.

ვსტამბავთ ამ წერილს აქ სიტყვის შეუმოკლებლათ.

ბასრმა სიკვდილმა კიდევ გამოგვტაცა ერთი თავდადებული ნიჭიერი ამხანაგი; წამებულთა მრავალ რიცხოვან გუნდს კიდევ მიემატა წმიდა საფლავი.

ცივ ქვეყანაში, უპატრონოთა და ღარიბთა თავშესაფარში ჭოლამ დალია ტანჯული სული; და მხოლოთ შემდეგ აუსრულდა სამშობლოში დაბრუნების სურვილი — დაბრუნდა, მხოლოთ მისი ცხედარი. და, აი, დღეს ვაბარებთ მას მიწას მისებ დევნილთა ტანჯულთა გვერდზე.

ჭოლას არ იცნობს ფართე საზოგადოება; მას არ უყვარდა მაღალ კათედრაზე შედგომა და ყველასთვის დასანახავათ გადაქცევა. მართალია ის ბოლო ხანებში კათედრაზე შედგა, ბელეტრისტათ მოგვევლინა, მარა აქაც ის დარჩა ჭოლათ: მორცხვათ და შეუმჩნეველათ.

ჭოლა გარეგნობით „ჩია“ კაცი იყო, ახირებული ჩაცმულობით და გამოურკვეველი გამომეტყველებით. თქვენ ყურათღებას სრულიათ არ მიიპყრობდა. მარა, როგორც-კი ლაპარაკს დაიწყებდა, ან კალამს ხელში აიღებდა — თქვენ მოულოდნელათ მისკენ მიიხედავდით და გაშტერებული შეყურებდით: ნუ თუ ეს კაცია ის, რომელიც ასე მეტყველობს; და უსმენდით სულ განაბული, გაოცებული. ის არ ამბობდა ახალ აზრებს, გაუგონარ იდეებს, ამბობდა იმას, რაც ყველამ ვიცოდით, რაც მრავალჯერ თქმულა და დაწერილა, სამაგიეროთ, ამბობდა ისე, რო სხვა ვერავინ ვერ იტყოდა, ჩასვამდა ისეთ ფორმაში, რო თვით შინაარსიც ახალი გეგონებოდათ. თქვენ გხიბლავდათ ის თფილი გული და ნაზი გძნობა, რომელიც მას შექონდა პოლიტიკაში დახატავდა მოულოდნელი შედარებებით და ივიათი სარკაზმით.

ჭოლასთვის პარტია, მიმართულება არ იყო მარტო რწმენა, გონებრივი ავლადიდება; არა, ეს იყო ამავე დროს და, უმთავრესათ, მისი საყვარელი არსება, მისი სათუთი და გძნობიარე სამკაული, რომლის შეხებას და ვაგლახათ ხსენებას ის აფთარივით ეკვეთებოდა. ამ დროს აშკარათ ჩანდა, რომ ის იბძვის არა პოლიტიკისთვის, არამეთ შეურაცხოფილი საყვარლისთვის, ძვირფასი მიჯნურისთვის.

ჭოლა თავის პოლიტიკურ რწმენას ეალერსებოდა, ესიყვარულებოდა, როგორც ტარიელი ნესტან დარეჯანს. ის აქ პოვებდა ესთეტიურ კმაყოფილებას, გასახიერებულ შვენიერებას, რა გზასაც დაადგებოდა — დაადგებოდა სულით და გულით. მუდამ აღტაცებული და გატაცებული. ის, უმთავრესათ, იყო პრაქტიკი. მარა პრაკტიკი რომანტიული სარჩულით, მას უყვარდა საქმე არა ისე, როგორც თითოული ჩვენგანს, არამეთ სულ სხვანაირათ, საქმე მისთვის იყო არა მარტო საყვარელი, არამედ სიყვარულიც. აქ ის ეძებდა და პოვებდა სიყვარულის საგანს. მუშაობდა თითქოს არა საქმისთვის, არამედ ამ თვისი სიყვარულის, თვისი ესთეტიური მოთხოვნილებისთვის. გულწრფელი და თფილი, გძნობა სათუთი და ლმობიერი, სიტყვა მოკლე და მჭრელი — აი, რა შექონდა

ჭოლას ყველაფერში, რასაც-კი ხელს მოკიდებდა.

ჭოლა იყო პარტიაში დიდი ორიგინალი, ბუნებისგან გამოჭედილი, მთლიანი სანახაობა; ის ძლიერ გავდა „ოთხი ძმის“ გმირთ, რომელნიც პირველათ გამოვიდენ ტყიდან საზოგადოებაში და ყოველივე უკულმართ საძირკველზე აგებულათ ეჩვენებოდათ. ჭოლა ნათესავით ყოველივე მოვლინებას ძირში უყურებდა და ორიოდე მოხდენილი სიტყვით მის უაზრობას ხელის გულზე გაგიგორებდა. მისი კრიტიკა შეეხებოდა რაღაც ისეთ მხარეს, რასაც არავინ ყურათღებას არ აქცევდა, რაღაც წვრილმალს, მარა მის სიტყვაში ის თანდათან იზდებოდა და სხვილ თვისებათ იქცეოდა. მას აინტერესებდა პოლიტიკაში ფსიქოლოგია, საზოგადოებაში ადამიანის ბუნება, ურთიერთობაში ჩაბეჭდილება.

ჭოლა იყო პოლიტიკაში პოეტი, პრაქტიკიმგოსანი, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. მისთვის პოლიტიკა ხელოვნებაა, ესთეტიკის ერთი დარგია; პარტია მისთვის რელიგიაა, სარწმუნოება, რომელიც მიგვითითებს ზეციურ სამართლიანობისკენ, ის მოწიწებით ეპყრობოდა მოძრაობას, მეტანიას აკეთებდა მის წინაშე. მარა ამავე დროს ის მას კრიტიკულათ უცქეროდა. საკვირველია ის, რო მისი კრიტიკა სავსებით იუმორით გაჟღენთილი, თვით უდიდეს ტრაღიკულ მდგომარეობაში უდიდეს კომიკურ მდგომარეობას აღმოაჩენდა. ის თავის საკანშიაც სიცილის გუნებაზე რჩება და ეკლიან გზას ყვავილებით ამკობს. მიკითხავს მისი „პრიდვარილკიდან“ მოწერილი ბარათები, რომელთა თითოული სტრიქონები დაუცხრომელ ხარხარს იწვევდა და ვეუბნებოდი ჩემ თავს: არა, ეს კაცი არ მოკვდება...

ჭოლას სულიერი ვინაობა საკმაოთ გამოისახა მის ბელეტრისტულ ნაწერებში. შეიძლება ითქვას, რომ ახალ მწერალთა შორის პირველი ალაგი ჭოლას ეკუთვნის და ამავე დროს ის თითქმის შეუმჩნეველათ ჩატარდა. ჩვენში ერთათ ერთი ჭოლა შეიქნა ნორვეგიელი მწერალის, კნუტ გამსუნის შკოლისა და ეს არა მიმართულებით, არა ნორვეგიელის განმეორებით. არამედ სრულიათ ბუნებრივათ, თავისთავათ, დამოუკიდებლათ. ის, ასე ვთქვათ, ბუნების კაცია, ,,გაუთლელი გლეხია'', როგორც ხუმრობით ვეტყოდით ხოლმე, უცივილიზაციოთ და უწიგნოთ შექნილი ინტელიგენტია. და, აი, ეს თვისება შეიტანა ნაწერებშიაც, სიყვარული გადაქსოვა ბუნებას და ბუნებრივობასთან, პოლიტიკური თავისუფლება გძნობის თავისუფლებასთან, გულწრფელობა მხატვრულ ენასთან, ტიპების გასახიერება ზომიერებასთან. ის ჩვენი გამსუნია და დიდათ სამწუხაროა, რო მისი ნაწერები ასე ნაჭრებათ იბეჭდებოდა, ბევრი დაიკარგა და ზოგი დაუბეჭდავიც დარჩა.

ჭოლა — ბელეტრისტი არ არი შენიშნული და დაფასებული; ამ საერთო წესიდან ერთათერთ გამონაკლისს შეიცავს გრიშაშვილის წერილი, რაც სიამოვნებით გადავიკითხე. პოეტმა იცნო პოეტი, მათ შორის, უეჭველია, რაღაც საერთოა, რაღაც ძაფებია გაბმული. წაიკითხეთ ჭოლას „თეთრი ღამე“ და სხვა მოთხრობები და დაინახავთ გრიშაშვილთან ნათესაობას, ნათესაობას შინაგანს, გძნობათა მორევში. თანამედროე ბელეტრისტთა შორის, ერთათ-ერთ ჭოლას ნაწერს წაიკითხავ და წაკითხვა კიდევ მოგინდება. სათუთი გძნობა, გულწრფელობა და მხატრული ნიჭი მასში მწყობრათ არი შეზავებული.

ჭოლა პოლიტიკური მოღვაწე, ჭოლა მხატვარი--ეს ერთი ჭოლაა, ერთი ჩამოყალიბებული პიროვნებაა, ორივე დარგში ერთნაირათ მომღერალი. მისთვის ეს ორივე ერთი და იგივე დარგია, შეკავშირებული და ერთ სათავეთ ქცეული მისი უწმიდესი გძნობით—სიყვარულით. აი, ამ ემბაზში აერთებს ის ბუნებრივობას, გულწრფელობას და სამართლიანობას. ჩვენ ვხედავთ მასში ბუნების კაცს ყოველგან, დიდ და

პატარა კრებაზე, კაბინეტში, თუ ხალხში, პარტიაში, თუ ბელეტრისტიკაში. ჭოლა ყველგან და ყოველთვის ჭოლათ რჩება, პირდაპირი, ვით შურდული და მორცხვი, როგორც ტრედი.

დიახ, დავკარგეთ მეტათ ორიგინალური ამხანაგი, მას მემკვიდრე არ რჩება; ის იყო ერთი, ცალკე ეული, უთვისტომოთ გამოკვეთილი, გურიის გლეხობის ნამდვილი შვილი. ბუნებას თვისი ცული მოუქნევია და ერთი დაკვრით ჭოლა გამოუთლია. ვინ იცის, კიდევ როდის მოიქნევს თავის მადლიან მახვილს და ჭოლას მემკვიდრეს გამოკვეთს.

მე მიყვარდა ჭოლა იმისთვის, რო მას სიყვარული ამოქმედებდა. მისი სახე რაღაც მოსვენებას მგვრიდა, მასში ვხედავდი პატრიის პოეზიას, გურიის მთიდან ნაჩქეფს, ჟამთა ვითარებით შეურყვნელს. ფიცხი და მოსიყვარულე, ნაზი და მოუხეშავი, დინჯი და მოუსვენარი ჭოლა აღარ გვყავს. დღეს ის ეშვება ცივ სავანეში და არჩილ ჯაფარიძის გვერდით პოვებს საუკუნო მოსვენებას.

მშვიდობით, ძვირფასო ამხანაგო, გადაეცი შენს წინ იქ მისულთ, რო ლამპარი თქვენ დროს ნთებული, ისევ ანათებს

„კავკაზი“ და აჭარელები.

გაზ. „კავკაზ“-ში ნ. ლებედევის წერილი დაიბეჭდა აჭარელების თაობაზე. ავტორი სწერს:

„აჭარელების პროცესმა დიდი კამათი გამოიწვია, კამათი ჩვეულებრივზე უფრო ცხარე და გამწვავებული. ამ ჟამათ ეს კამათი დასრულდა, და უნდა ვიმედოვნოთ, რომ აზრი ყურათღებით იქნება მოსმენილი.

ყველას კარგათ ახსოვს, პროცესის დაწყებამდი და პროცესის დროს ქართული გაზეთები, სიმართლეში დარწმუნებულნი, ამტკიცებდენ, რაც გასულ შემოდგომაზე მოხდა აჭარაში, ხალხის ღალატი არ ყოფილა, არამედ თითო ოროლა პირის დანაშაულიო...

ქართულ გაზეთების ოპონენტების აზრი, სამწუხაროთ, საკმაოთ გასაგები არ იყო, ხოლო ის, რაც მათ სურდათ ეთქვათ, სრულათ გაუგებარიც“:

შემდეგ, ავტორი ისტორიულ ფაქტებს მიმართავს, მოიგონებს 1877—8 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომს, როდესაც აჭარლები, როგორც ოსმალეთის ქვეშევრდომნი, რუსებს ებრძოდენ და აჭარელთა მაშინდელ სულისკვეთების დასახასიათებლათ „კავკაზის“ იმ დროინდელ რუს-კორესპონდენტის სიტყვები მოყავს:

„დაამარცხებენ რუსები ოსმალთ, ეუბნება აჭარელი კორესპონდენტს, ჩვენც ეს გვინდა. თუ ვერ დაამარცხებენ, ჩვენ კვლავინდებურათ ძმურათ ვიცხოვრებთ. ჩვენმა მთავრობამ ჯარი მოგვთხოვა და ჩვენც მივეცით და სხვა არაფერი“.

თავის მხრივ კორესპონდენტი წერდა მაშინ:

ოსმალეთის ქართველები, განსაკუთრებით-კი ოსმალეთის გურულები ყოველთვის და ყოველ გარემოებაში თავის მამულის და სამშობლოს ერთგულნი იყვენ. ყოველთვის ენერგიულათ ებძოდენ მტერს, რომელიც, მათის აზრით, სამშობლოდან მათ გაძევებას ლამობდა, ან და ავიწროვებდა რითიმე, გადასახადებით და სხვა“.

ამ ისტორიულ ამონაწერების შემდეგ, ლებედევი განაგძობს:

„ასე იყო 1877 წელს. მეტათ ძნელია გაგება იმისი, თუ როგორ მოხდა, რო ჯერ კიდევ ოსმალეთის ქვეშევრდომი აჭარლები რუსეთის მეგობრები იყვენ და მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეშევრდომნი გახდენ, მტრებათ გადაიქცენ, მარა, შეიძლება, ამის განმარტება ზედმეტიც იყოს...

დასასრულ, ლებედევს აჭარლების საქმის ასახსნელათ უკვე გარდაცვლილი პროფესორის, ა. კრასნოვის წერილი მოყავს, განსვენებულს გასულ წლის დეკემბერში ლებედევისთვის რო მიუწერია: აჭარელს რო კითხო, წერს კრასნოვი, თუ ვინ არის ის—მაშინვე გიპასუხებს: მე ოსმალი ვარო. მარა ამ „ოსმალებს“, ყვე-

ლას, გამოუკლებლივ, მთელ მხარეში, თქვენ შეგიძლიათ ქართულათ ესაუბროთ და ერთი სიტყვა ოსმალური არ დახარჯოთ. მეტიც მგონია. მე ეჭვი მაქვს, რო თქვენმა მოსაუბრემ შესძლოს თქვენთან ოსმალურათ ბაასი.

რა მწარე დაცინვაა ბედისა... ნამდვილი ქართველები, ძველათ ქრისტიანობის აღმსარებელნი და საქრისტეანო კულტის დამცველნი, დღეს ისლამის თაყვანისმცემელნი, თავიანთ თავს ოსმალებათ აღიარებენ... ოსმალეთში ოსმალი ამავე დროს მამადიანიც უნდა იყოს და, როგორც ჩანს, ხალხის თვითცნობიერება იქამდის ვერ მისულა ჯერ-ჯერობით, რო მამადიანი შეიძლება არა ოსმალიც იყვეს. ამ შეგნების მოტანა სკოლას შეუძლია, მარა ოსმალებს არ უნდათ ხალხს თვალი აუხილონ. ამიტომაა ოსმალები მცხოვრებთ სკოლისადმი სიძულვილს უნერგავენ. ვნახე სკოლის შვენიერი შენობა სოფ. ქედში, სადაც მხოლოთ ორი რუსი ბავშვი იყო და არც ერთი აჭარელი. მამადიანები სკოლაში ბავშვებს არ აბარებენ. წერა-კითხვას მხოლოთ ოსმალურათ ასწავლიან, რათგან ეშინიათ სხვა ენაზე, არა ოსმალურზე სწავლამ ისლამს არ მოწყვიტოს"

იქნებ, ისინი მართალნიც იყვენ. საჭიროა ცოტათი თვალის ახილვა, რო გაიგონ თავიანთი ქართველობა და სხვა თვალითაც შეხედონ თავიანთ წარსულს. ახლაც-კი, უბრალო საუბრის დროს, არა ერთხელ გაგიტყდებიან, და გეტყვიან, ჩვენ იგივე ქართველები ვართო''.

აჭარლებს ეხლა მძიმე ბრალდებას უყენებენ—სახელმწიფოს ღალატს. შეიძლება, მე ვცდებოდე, მარა, რამდენათაც მე აჭარლემს ვიცნობ, ფიქრობ, აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო. იქნება აქ გაუგებრობა იყვეს? ყველა დიდი ომი დიდ გმირებთან ერთათ დიდ შეცთომებს ბადებს. ღმერთმა ნუ ქნას, ეს შეცთომა ჩვენ რო ჩაგვედინოს".

ასე ფიქრობდა და სწერდა პროფესორი კრასნოვი, რომლის აზრს ბ. ლებედევი სრულიათ იზიარებს. მხოლოთ ასე არ ფიქრობენ ისინი, ვინც ართვინელი მასწავლებელი ტერმანველიანცის კაენის ცოდვას განაგრძობენ, როდესაც ერის ერთს ნაწილს ღალატს ახვევენ თავს.

მზის მგოსანი ბალმონტი ჟუთაისში.

ერთ წელზე მეტია, რაც დასავლეთი საქართველო, იმერეთი მოელოდა რუსეთის გამოჩენილ მგოსან **ბალმონტს**, მიზეზი ამ ლოდინისა იყო მისმიერ ნათარგმნი **„ვეფხისტყაოსნი"-ს** რუსულ ენაზე მოსმენის უზომო სურვილი. ასეთი სურვილი სრულიათ ბუნებრივია არა თუ ყოველი ქართველისთვის, არამედ უცხოელთა შეგნებულ, ინტელიგენტურ ნაწილისთვისაც, რომელსაც ყოველი ერის კულტურული ნაწარმოები იმდენათ აინტერესებს, რამდენათ ასეთ ნაწარმოებს თავისებური განძი, ელფერი შეაქვს საკაცობრიო კულტურის სალაროში.

დღეს შოთა რუსთველის პოემაც ასეთ ნაწარმოებათ არის აღსარებული თვით უცხოთაგან, რომელნიც მის შინაარსს და ამ შინაარსის მეტათ ხელოვნურათ გამოხატულობას გაეცვნენ.

მართალია, ასეთ გამცნობთა რიცხვი ჯერ კიდევ თითებზე ჩამოსათვლელია, მარა მათ რო ჩვენთვის უფრო მონათესავე, მახლობელი მგოსანი ბალმონტი შეემატა, ახლა ჩვენთვის, უფრო საგულისხმო, ეს მოვლენაა. რუსულ ენაზე „ვეფხის ტყაოსნის" რიგიანი, შესაფერისი თარგმანი, ეს დიდი განძი იქნება საერთაშორისო სალიტერატურო სალაროსთვისაც.

აი, ამიტომაა ასე უზომო მხიარულებაში ჩავარდნილი ქართველობა რუსის მგოსან ბალმონტის ჩვენთან დაახლოვებით. და, აი, ეს მხიარულება მან ნამდვილ ქართველურ შეხვედრა-გაცილებაში გამოხატა ამერ-იმერეთის დედა ქალაქებში, შარშან და წელს. იქაც და აქაც, წელს ამ გამოხატულებამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო და გარდა ლექციებზე დიდძალი

საზოგადოების დასწრების და აღტაცებული შეხვედრისა, თფილისსა და ქუთაისშიაც დიდი ნადიმობა გაუმართეს ჩვენ სტუმაო-მგოსანს.

შარშანდელი თფილისში შეპირება „ვეფხის ტყაოსნის" თარგმნისა, წელს პოეტმა უკვე შეგვისრულა და ნაწილი თვისი თარგმანისა ახლახან გააცნო თფილისის საზოგადოებას. ჯერი მიდგა დასავლეთ საქართველოს მკვიდრზე, რომელიც აგრეთვე მოუთმენლათ ელოდა ახალი რუსული თარგმანის მოსმენას.

ქუთაისის მკვიდრს ეს დღე 6 ოკტომბერს გაუთენდა, როცა ბალმონტი თფილისელ ნაცნობ მასპინძლების გრ. დიასამიძის და ალ. ყანჩელის თანხლებით ქუთაისს ეწვია და თეატრში აუარებელ საზოგადოების ყოველი წრის თანდასწრებით წაიკითხა ლექცია „ვეფხის ტყაოსანზე" და შეაზავა იგი საუკეთესო ადგილების თარგმანით ამ მისთვისაც სათაყვანებლათ გამხდარ პოემისა.

დამსწრე საზოგადოება აქაც, რა თქმა უნდა, აღტაცებული შეხვდა მგოსანს, ყვავილებით შეუმკეს სცენა. აღტაცებული იყო საზოგადოება მგოსნის ლექციით და ნამეტურ მისი თარგმანის მუსიკალურის კითხვით. მან ხანგძლივი ვაშა-ტაშის ცემით მრავალჯერ გამოიწვია იგი სცენაზე და, გარდა თარგმანისა, წააკითხა საკუთარი ლექსები ეკსპრომტათ დაწერილი და ადრინდელიც.

რუსეთის მგოსნის თარგმანის შესახებ, გარდა პრესაში დღემდი თქმულისა, აღარას ვიტყვით, რათგან ერთი მოსმენით მეტის თქმას ვერიდებით, მის საფუძვლიან დაფასებას ჩვენ შემდეგში ველით, როცა პოეტი, შეპირებისამებ, ქართულს შეისწავლის, თავის თარგმანს დედანს შეადარებს და უცხო ენებიდან ნათარგმნით არ დაკმაყოფილდება. ეს კი მომავლის საქმეა...

ქუთაისის ინტელიგეციამ საქართველოს დღეინდელ სტუმარს კიდე უფრო გულითადათ სცა დიდი პატივი მეორე დღეს ქართული ნადიმის გამართვით, სადაც ერთი მეორეს გულახდილათ გააცნეს თავიანთი გულის ნადები და მისწრაფებანი.

მართლაც, 7 ოკტ. გამართული ნადიმი ნამდვილი გამოხატულობა იყო ქართული გულუხვობისა უცხო სტუმრისადმი. ქართული სასმელ-საჭმელი უხვათ დამზადებული, ქართული თარ-ჭიანური, ზედ ტკბილის ხმით დანამღერები შაირებით, ცეკვა-ქეიფის აღმძვრელი მშვენიერე ზურნის ხმა, ქალ-ვაჟთა შვენიერათ დავლურ-ლეკურის თამაში, ყანწი-აზარფეშებით სადღეგრძელოების სმა 150-დი თავმოყრილ პატივისმცემელთა, იმერული წკრიალა ხმისმოღერები, შიგა და შიგ ლამაზი სიტყვები და ლექსები პოეტისადმი ახალგაზდა მგოსნებისგან მიძღვნილი; ყოველივე ამ მოსმენა-სანახაობით დიდათ ნასიამოვნები დარჩა საქართველოს სტუმარი ქუთაისში...

მრავალ სიტყვებსა და ლექსებში ორმა მიიპყრო სტუმარი მგოსნის და მისი პატივისცემლების ყურათღება. ეს იყო კიტა აბაშიძის რუსული მხატვრულათ წარმოთქმული, სტუმრის დამახასიათებელი სიტყვა და ვარ. რუხაძის ლექსი მგოსნისთვის მიძღვნილი ქართულათ, რომლის საამდროო მინაარსს თვით ნადიმის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა, იქვე გადაუთარგმნა მგოსან სტუმარს და უთხრა, რომ ასე მოხდენილი ლექსი შენთვის არც ერთს არ მოუძღვნიაო. და მან დანარჩენ ქართველ პოეტებს უსურვა, რომ ისინი ბალმონტს არ ბაძავდენ, მისი ენით არ ლაპარაკობდენ თავიანთ ლექსთა თხზვაში...

რუსეთის გამოჩენილ პოეტის ქუთაისში სტუმრობის და პატივისცემისას თეატრში და ნადიმობის დროსაც კლუბში ერთმა არა სასიამოვნო მოვლენებამ იჩინა თავი. ეს იყო რუსების დაუსწრებლობა, მონაწილეობის მიუღებლობა ამ პატივისცემაში. არც თეატრსა და არც კლუბში მათი თვალსაჩინო პირები არ ჩანდენ და რისთვის, — ეს ერთგვარათ კლუბში ნადიმობის დროს, ბოლოს, გამოირკვა: ბალმონტის პატივისცემელთან მომხდარ ინციდენტში. აქ ერთმა იქვე შეზარხოშებულმა მსხვილმა მოხელემ ქართველების სტუმარს „პროვაკატორი", თურმე უწოდა და ზიზღით მოიხსენია ქართველების გადაჭარბებული მი'ი

პატივისცემა, რაზედაც მან შესაფერისი პასუხი მიიღო სიტყვითაც და ეროგვარათ საქმითაც...

ეტყობათ, კ. ბალმონტის ქუთათურ თანამემამულეებს შეშურებია ჩვენთვის მისი ასეთი ყურათღება, ჩვენი კულტურული სიამაყისადმი და ეს გარემოება არც მაგრე გასაკვირალია ჩვენ კურთხეულ, სპეციფიკურ ხასიათის ქალაქში...

და, ბოლოს, საჭიროთ მივვაჩნია ბალმონტის ქუთათურ პატივისცემის აღსანიშნავათ მოვიხსენოთ მისგან ბაგრატის ტაძრის დათვალიერება და ნახატების გადაღებაზეც.

როგორც ყოველ მოსულ საპატიო უცხო სტუმარს, ისე ბალმონტსაც მისი პატივისმცემლები წარუძღვენ ქუთაისის მიდამოების და მათში ბაგრატის ტაძრის დასათვალიერებლათ. საქართველოს ძველი კულტურის ცხადი ნაშთები ?აგრატის ტაძრისა ძლიერ მოეწონა მგოსანს. აქ ამ დროისთვის ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„იმერეთი“-ს** გამგე ის. კვიცარიძეს საგანგებოთ მოეყვანა ფოტოგრაფი ნიკ. საღარაძე (ამისთანაობის შეგნებული მოტრფიალე), რომელმაც გადიღო ცალკე პორტრეთი პოეტებისა, ორნაირ პოზაში: ნანგრევების ჩუქურთმებიან წინ მდგომი და ნანგრევებზე ჩამომჯდარი, რიონისთვის ლექსს რო წერდა. იქვე გადიღო პორტრეთი პოეტების ქუთათურ და თფილისელ მწერლების და ადგილობრივ დამხდურ საზოგადოების ჯგუფში სამნაირ სხვადასხვა პოზაში. ეს პორტრეთები ფოტოგრაფმა იმავე დღეს დაამზადა და სტუმარ ბალმონტს მიუძღვნა საჩსოვრათ ქუთაისში, რო ბძანდებოდა.

შემდეგ, ის. კვიცარიძემ იმავე ფოტოგრაფს გადააღებინა ბალმონტის პორტრეთი თავის კანტორა **„იმერეთ“-ში ვარლამ რუხაძესა და გალაკტიონ ტაბიძესთან** ერთად. თითოული ამ პორტრეთებისა სატახტო ჟურნალ-გაზეთებში გაიგზავნება დასასტამბავათ.

„იმერეთი“-ს კანტორის გამგემ მიუძღვნა სტუმარ მგოსანს: ორნაირი გამოცემა ყდით „ვეფხის-ტყაოსნისა“: იუსტინე აბულაძის და სერგო კაკაბაძის; 2. აკაკის გარდაცვალების გამო გამოცემული ორნაირი რუსული კრებული მისი ლექსებისა და სიტყვების თფილისელი—ალდონის და პეტროგრადელი—ჟიაბროვის, ზედწარწერით: „საქართველოს ძვირფას სტუმარს კონ. ბალმონტს.“ მანვე გაატანა პოეტს ბალმონტის საქართველოში ჩამოსვლის დღიდან მაზე და მის ლექციაზე დაწერილი რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთების ნუმრები.

მგოსანმა მიმძღვნელს გულითადი მადლობა გადუხადა და გაუცხადა, რო დღეინდელი დღე სამახსოვროთ დარჩება, არა მარტო ჩემთვის, არამედ ისტორიისთვისაც. და შეპირდა, რო, როგორც მოსკოვში ჩავალ იქ ერთ ქართველ სტუდენტის (ტ. ტაბიძე გამოდგა) დახმარებით, უეჭველათ, დავიწყებ ქართული ენის საფუძვლიანათ შესწავლას, რო თქვენ მოძღვნილ დედანში ვიკითხო შოთას დიდებული პოემა. მეც სწორეთ ამ მიზნისთვის გიძღვნით ამ ორნაირ საჭირო კომენტარიების და წინასიტყვაობით გამოცემულ „ვეფხის-ტყაოსანს“ და გისურვებთ, რო საქართველოში მეორეთ ჩამოსვლისას მას ქართულ დედანში თამამათ კითხულობდეთ და მისი სული და გული გესმოდესთო, დაუმატა მიმძღვნელმა გამოთხოვებისას...

მესამე დღეს პატივცემული კ. ბალმონტი თფილისისკენ გაემგზავრა.

ქუთათური მწიგნობარი.

(ის. ჯვიცარიძე)

რედაკტ.-გამომცემელი **რომანოზ ს. ფანცხავა,**

ნებადართულია სამხედრო ცენზ. სტამბა ,,ძმობა'' ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მეგობარი“

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდი გაზეთი ღირს 1 მ. 3 აბაზი. თვეში 4 აბაზი.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

გაზეთს ყავს საკუთარი კორესპოდენტები საქართველოს ყველა დაბა ქალაქში და რუსეთის სატახტო ქალაქებშიც.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით 3 შაური, უკანასკნელზე 2 შაური. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ნაშუადღევის 3 საათამდი ეღირება 3 მან., სამ საათს შემდეგ—4 მან.

რედაქციის მისამართი: Кутаисъ, Ивановская, редакція газ. „МЕГОБАРИ“ ფოშტის ყუთი № 26.

გაზეთის დასაკვეთი ფული და სხვა ანგარიშები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Кутаисъ, Редакція газ. „МЕГОБАРИ“ Титу Махаробеловичу Сихарулидзе. სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქცია ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდი და საღამოს 6-დან 8-დი.
პირადათ რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 12 საათიდან 3 საათამდი.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო ფურცელი“

(ნახატებიანი დამატებით).

წლიურათ ღირს 8 მან. 50 კ. ერთის თვით—75 კაპ.
მისამართი: Тифлисъ. Газ. „Сахалхо Пурцели“, Поч. ящ. № 190.

თფილისის წიგნის მაღაზიებში იყიდება

გ. თუმანიშვილის წიგნები:

Итоги земскихъ совѣщаній на Кавказѣ.

ფ. 60 კაპ.

Характеристика и воспоминанія.

(ქართველი და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწეები.- ქართული თეატრი. -რუსის მწერლები და მოღვაწეები კავკასიაში).
მეორე შევსებული გამოცემა. ფ. 50 კაპ.

ПЕРВЫЙ КАМЕНЬ

(Въ закладкѣ фундамента Тифл. Политехникума).

ფ. 15 კაპ.